ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 29 მარტი, 2022 №62 (8840) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

## ირაკლი შოთაძე: „სტრასბურის სასამართლოში წარსადგენად ასობით მტკიცებულება მოვაგროვეთ“

## საწვავზე ფასების წინააღმდეგ აქციებზე 20 პირი დააკავეს




გვ.5

# „სად ვართ — დასავლეთთან თუ რუსეთის ბანაკში?!“



გვ.2

ანა ნაცვლიშვილი: ხელისუფლებამ ეს მკაფიოდ უნდა აჩვენოს



## „ოპოზიციაშიც ორი ფლანგია, ხშირად ერთმანეთის კრიტიკით ვართ დაკავებული“

## „ლარის კურსი გაუფასურებას დაიწყებს 5 აპრილიდან, საწვავის საშუალო ფასი იქნება 4,5 ლარი“



გვ.3

ოთო აბესაძე: „ამ აქციაზე რამდენიმე მინისტრის ოჯახის წევრი იყო და ისინიც ნაცები არიან?“



გვ.4

## „პუტინს საკუთარი სამხედრო ელიტა მოიშორებს“

ანზორ აბრალავა: „საომარი მოქმედებები შეიძლება რუსეთს მოედოს“



## „სააკაშვილს გადატრიალების ნოსტალგია მოაწვა“

გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალები ბელადის მოწოდებას დაუჯერებენ და კიდევ ერთხელ შეეცდებიან ქვეყნის ყანყალს, მაგრამ არაფერი გამოუვათ“



გვ.3



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან 5 წელი გავიდა“

„მთავრობამ ამისთვის ბევრი იმუშავა და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ შედეგის მიღწევაში“

1993230720223

3 ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო მოქალაქეებს სიმშვიდისკენ“

5 ლაშა ქოიავა: „2008 წლის ომში უგულავას ყოველი სიტყვა დანაშაული იყო“

5 მედეა ჯანიაშვილი: „თაღლითური შემთხვევების აღმოსაფხვრელად შსს-ს რეაგირება მისასალმებელია“

6 პოლიციელებმა მამაკაცი გადაარჩინეს და მაშინვე დააპატიმრეს

# „სად ვართ — დასავლეთთან თუ რუსეთის ბანაკში?!“

## ანა ნაცვლიშვილი: ხელისუფლებამ ეს მკაფიოდ უნდა აჩვენოს

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლელოს წევრი, პარლამენტის დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი პასუხობს.**

***– ანა, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე, საქართველოს ხელისუფლების მისამართით სერიოზულ კრიტიკას ვისმენთ. არაერთხელ მოგვისმენია შეფასება, რომ ხელისუფლება ორ სკამზე ჯდომას ცდილობსო. რას იტყვით თქვენ? რა პოლიტიკა აირჩია „ქართულმა ოცნებამ“?***

– პირველ რიგში უნდა ვთქვათ ის, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს მთელ რეგიონზე. ფაქტიურად, მსოფლიო უსაფრთხოება და პოლიტიკა თვალსა და ხელს შუა იცვლება. დავინახეთ ქვეყნები, რომლებმაც ათწლეულების დადგენილი კურსი შეცვალეს, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის. რადიკალურად გადახედეს ურთიერთობებს. ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნები ჩაებნენ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებებში და მოკლედ, არსებითად შეიცვალა ის წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ათწლეულები შენდებოდა. აბსოლუტურად ახალი ტიპის მსოფლიო იბადება ჩვენ თვალწინ. ასეთ ვითარებაში, ჩვენს ქვეყანას აქვს ძალიან ცალსახა გადაწყვეტილება მისაღები, სად უნდა მას, რომ იყოს ამ ახალ მსოფლიო წესრიგში. უნდა, რომ იყოს ამ ახალი წესრიგის მონაწილე, გაცხადებული და მკაფიო პოზიციონირებით, თუ უნდა, რომ დარჩეს რუსეთის ბანაკში, სადაც თითქმის აღარავინ აღარ არის. ბარბაროსული ომის ავტორის, რუსეთის ბანაკში. რთულია ამ მოვლენებს ომი უწოდო, რადგან...

***– ომსაც თავისი კანონები აქვს.***

– დიახ, აქვს თავის კანონები და რუსეთი ამ კანონებსაც არღვევს. ეს ომი და შეიარაღებული კონფლიქტიც აღარ არის, ეს არის ბარბაროსული აქტი. ამ ბარბაროსული აქტის ავტორ და შემსრულებელ რუსეთთან უნდა რომ იყოს თუ ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელიც მთელ ცივილიზებულ სამყაროს აერთიანებს?! შუალედური პოზიციის დაკავება აქ არ იმუშავებს, რადგან შავსა და თეთრს შორის არჩევანი არის გასაკეთებელი.



***– რისი ეშინია ხელისუფლებას, საერთოდ, თუ არის ეს შიში?***

– მე არ მგონია, რომ მას ეშინია და ავხსნი რატომ. სანამ უკრაინას თავს დაესხმოდა რუსეთი, მანამდეც არაერთი ინდიკატორი იყო იმისა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, მართალია სიტყვიერად ინარჩუნებს პროდასავლურ კურსს, მაგრამ საქმით და მენტალობით სულ სხვაგან დგას. საერთოდ რომ არ ყოფილიყო რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე, უკვე არსებობდა არაერთი საგანგაშო სიგნალი, რომელიც ამას აჩვენებს. თუნდაც იგივე მიშელის შეთანხმებიდან გასვლა. ევროპამ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი ჩართო ამ პროცესში. ამაზე მაღალი წარმომადგენლობითი ჩართულობა შეუძლებელი იყო. ამ შეთანხმების არ შესრულება იყო ძალიან მკაფიო და ცუდი გზავნილი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ხომ გაიძახიან, ასოცირების ხელშეკრულებას ვასრულებთო, არც ამას ასრულებენ. კიდევ ბევრი საკვანძო საკითხია. ძალიან სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს. დასავლეთთან ურთიერთობები არის გაფუჭებული. შეხედეთ, საკონტაქტო პირად აღარ არის აღქმული ღარიბაშვილი!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ხვდებიან, ის სრულიად სხვა ენაზე საუბრობს. ის არ საუბრობს იმ ენაზე, რომელიც გასაგები და მისაღებია ცივილიზებული დასავლეთისთვის. თავს ესხმიან და აკრიტიკებენ დასავლეთს. დასავლეთს კრიტიკა კი არ უკვირს, კრიტიკული აზროვნება, დასავლური აზროვნების ნაწილია. მათთვის კრიტიკა არ არის პრობლემა, მაგრამ ამ კრიტიკას საფუძვლად რა უდევს?! თავი დამანებეო, ნუ მთხოვ რომ ჩემი ხალხისთვის უკეთესი ხელისუფლება ვიყოო. დამოუკიდებელ სასამართლოს ნუ მთხოვო, ეკონომიკის ფეხზე დაყენებას ნუ მთხოვო, ანაკლიის აშენებას ნუ მთხოვო. აი რატომ აკრიტიკებენ დასავლეთს. დასავლეთმა ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გაგვიხსნა ევროპული ბაზარი, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ არ აითვისა ეს ბაზარი და კიდევ უფრო მეტად მიაბა ქვეყნის ეკონომიკა რუსულ ბაზარს. ახლა დაფაცურდნენ ოროსანი მოსწავლეებივით და თითქოს რაღაცას აკეთებენ და რაში გაიყვანეს ეს ათი წელი, რა გააკეთეს?! აი ეს არის მთავარი კითხვა. უბრალოდ მათი პოზიცია, უკრაინულმა ამბებმა გააშიშვლა და უფრო ნათლად დაგვანახა ყველაფერი. ხელისუფლებამ მისი ქმედებით ქართველებს თავმოყვარეობა შეგვილახა. მთელ ევროპაში თავაწეულები დავდიოდით და ახლა ჩირგვში შემძვრალი სირაქლემის პოზიციის მთავრობა გვყავს და ეს ჩვენ საზოგადოებაზე მტკივნეულად აისახება. კი, საზოგადოება ძალიან ბევრს აკეთებს, მაგრამ ხელისუფლება მაინც ხელისუფლებაა და მისი პოზიცია ძალიან ცუდია საქართველოსთვის. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ამ ომში რუსეთი გაიმარჯვებს, ჩვენი ქვეყნისთვის ეს სერიოზული საფრთხე იქნება. იმაზე მეტად სერიოზული, ვიდრე აქამდე რუსეთიდან მომდინარეობდა.

***– ანა, აი ამ ფონზე, როგორ გამოიყურება ოპოზიცია, რას აკეთებს ის? საზოგადოებას თქვენი მისამართითაც აქვს კითხვები. რამდენად სწორი იყო ამ ხელისუფლების პირობებში პარლამენტში შესვლა და ან ახლა ხომ არ დადგა დრო, გამოხვიდეთ პარლამენტიდან და საერთოდ მარტო დატოვოთ ხელისუფლება?***

### „ოპოზიციაშიც ორი ფლანგია, ხშირად ერთმანეთის კრიტიკით ვართ დაკავებული“

– ოპოზიციის კრიტიკასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ კონტრავერსიულია ეს კრიტიკა. ერთი მხრივ გვეუბნებიან, აბა, სად ხარ, რას აკეთებო, როგორც კი პრობლემური მოვლენა ხდება, მაშინვე გაკვირდებიან, პარლამენტში აქტიურობ თუ არა და თუ არ აქტიურობ, რატომ არ აქტიურობო და მეორე მხრივ, დატოვე მანდატი და გამოდი გარეთო. მე მგონია, რომ სწორი საზოგადოებრივი მოთხოვნა არის ის, რომ ოპოზიციისგან მოითხოვონ კონკრეტული და ეფექტიანი მუშაობა და არა ის, რომ გამოდი გარეთ! შარლ მიშელის შეთანხმება ვახსენე და ამ შეთანხმების აზრი რა იყო? ხელისუფლებამ ცალსახად უთხრა, რომ მე არ მინდიხარ და გავიდა შეთანხმებიდან. მთელ ოპოზიციასაც რომ იგივე გაეკეთებინა, ეს რა გზავნილი იქნებოდა ქვეყნიდან ევროკავშირის მიმართ?!

***– არა მარტო საზოგადოების მხრიდან, არამედ თქვენივე ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან ვისმენდით ამ კრიტიკას.***

– მე ვიცი, რომ ოპოზიციის მიმართ ეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან 5 წელი გავიდა“

## „მთავრობამ ამისთვის ბევრი იმუშავა და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ შედეგის მიღწევაში“

– ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან 5 წელი გავიდა, მთავრობამ ამისთვის ბევრი იმუშავა და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ შედეგის მიღწევაში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ, 28 მარტის, სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, 5 წლის განმავლობაში საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ თითქმის მილიონ-ნახევარზე მეტი ვიზიტი განახორციელა ევროკავშირის ქვეყნებში, რაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ კონკრეტული ხელშესახები შედეგია.

– დღეს არის 5 წლისთავი მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდა. ყველას ვულოცავ ამ მნიშვნელოვან თარიღს. მოგეხსენებათ, ჩვენ ამისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, მთელმა მთავრობამ და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ შედეგის მიღწევაში.

აქვე, მოსახლეობას მინდა შევახსენო, რომ ეს პროცესი ჩვენ 2013 წელს დავიწყეთ, მაშინ, როცა გადმოგვეცა უვიზო რეჟიმის სამოქმედო გეგმა. მაშინ ძალიან ინტენსიური მუშაობა გაწია მთავრობამ, რაც 2015 წლის დეკემბერში დავასრულეთ. ევროკავშირმა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა აღნიშნული სამუშაოები და სწორედ ამის შემდეგ, ძალიან მალე, დაახლოებით ერთ წელიწადში სავიზო რეჟიმი მოიხსნა და ჩვენი მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში.

მინდა, მოსახლეობას ასევე შევახსენო, რომ საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ თითქმის მილიონნახევარზე მეტი ვიზიტი განახორციელა ამ 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებში, რაც, რა თქმა უნდა, არის კონკრეტული ხელშესახები შედეგი, რაც მივიღეთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

### „ფასების ზრდა და ინფლაცია ჩვენს ქვეყანაშიც არის გამოწვევა ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში და საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი“

– ფასების ზრდა და ინფლაცია ჩვენს ქვეყანაშიც არის გამოწვევა ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ყველგან და საქართველო, ბუნებრივია, ვერ იქნება გამონაკლისი.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– გარკვეული აქციები იყო ორგანიზებული, რომელთა უკან იდგა „ნაციონალური მოძრაობა“. ჩვენს მოქალაქეებს ძალიან აწუხებთ ფასები და ჩვენ ყველანი ვართ დაინტერესებულები, რომ ჩვენს მოქალაქეებს, რაც შეიძლება შევუმსუბუქოთ ის გაზრდილი ფასები და წნეხი, რომელიც მომდინარეობს ამ კრიზისებიდან.



კოვიდ-პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ინფლაციის მაჩვენებლებმა არაერთ ქვეყანაში ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია. ჩვენს ქვეყანაშიც არის გამოწვევა ინფლაცია და ფასების ზრდა, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ყველგან და საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი, იმიტომ, რომ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ეკონომიკით და მიერთებული ვართ მსოფლიო ბაზარზე. პანდემიას, რომელმაც თავდაყირა დააყენა მთელი მსოფლიო, ახლა დაემატა უკვე ეს ტრაგედია და ომი. ასეთი მასშტაბის ომი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა. ამას, ბუნებრივია, ექნება გავლენა ყველაფერზე, ფასებზე, ეკონომიკაზე, ინფლაციაზეც. ამიტომ, ამას სჭირდება კარგად გააზრება და ახსნა ჩვენი მოქალაქეებისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, თებერვალში ინფლაციის დონემ 13,7% შეადგინა, თუმცა წინა ხელისუფლების პერიოდში ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებლებიც დაფიქსირებულა.

– 2011 წლის მაისში ინფლაცია იყო 14,3%, იმავე წლის მარტში 13,9%, აპრილში, 13,5%, უფრო ადრეც, 2006 წელს ინფლაცია 14,5%-ს შეადგენდა. საშუალო წლიური ინფლაცია წინა ხელისუფლების იყო 6,2%, მაშინ, როდესაც ჩვენი მთავრობის 9-წლიან პერიოდში 4,1% არის საერთო შეწონილი წლიური ინფლაცია. ვაკეთებთ ყველაფერს მაქსიმალურად, რაც შეგვიძლია. სწორედ ამ მიზნით გადავდგით ნაბიჯები, თუნდაც მედიკამენტების გაიაფება, კომუნალური ხარჯების სუბსიდირება, დენის ტარიფის ნაზარდის სუბსიდია და ა.შ., – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, აპრილიდან იგეგმება კონკრეტული მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მშენებლობის წახალისება, დასაქმების პროგრამა და სხვა.

– საწვავის ფასების მიხედვით, 21 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს 170 ქვეყანას შორის ერთი ლიტრი ბენზინის სიიაფით 71-ე იყო საქართველო. 99 ქვეყანაში არის უფრო ძვირი საწვავი, ბენზინი, ვიდრე საქართველოში.

გაზის ფასები არის მკვეთრად გაზრდილი ევროპაში, ასეთი რამ არ ყოფილა, 2-3 კვირის წინ 3.900 დოლარს მიაღწია ათასი კუბური მეტრის ბუნებრივი გაზის ფასმა და თუ გახსენდებათ რამდენს ვიხდით ჩვენ ბუნებრივ აირში? ეს არის სოციალური გაზი და ეს არის კომერციული გაზი, ვინაიდან ეს კომერციული საიდუმლოებაა, კონკრეტულად ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კონტრაქტები, რაც მთავრობას აქვს გაფორმებული აზერბაიჯანთან, არის ძალიან მიზერული, მე ვიტყოდი. ევროპაში, აზერბაიჯანის შემდეგ მეორე თუ მესამე ადგილას ვართ გაზის ფასების მიხედვით.

ყველაზე იაფი ღირს მთელ ევროპაში გაზი საქართველოში, აზერბაიჯანის შემდეგ. ამიტომ, გთხოვთ ყველას, მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ და ნუ შევიყვანთ მოქალაქეებს შეცდომაში, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო მე-100 ადგილზეა მსოფლიოში საწვავის ფასების მიხედვით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანა არც გაზის მწარმოებელია და არც ნავთობის მომპოვებელი და მწარმოებელი.

### იწყება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“

– მთავრობის სხდომას ესწრება ბატონი თორნიკე რიჟვაძე, მას აქვს მომზადებული ძალიან საინტერესო პროგრამა – „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“; ეს იქნება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაც უკვე იწყება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ, 28 მარტის, სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ბათუმში ძალიან მწვავედ დგას ავარიული სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების პრობლემა, რაც საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

– ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის თანახმად ბათუმში არსებული ავარიული შენობები თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლდება. ამ პროგრამას დავამტკიცებთ მთავრობის სხდომაზე, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილს გადატრიალების ნოსტალგია მოაწვა“

## გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალები ბელადის მოწოდებას დაუჯერებენ და კიდევ ერთხელ შეეცდებიან ქვეყნის ყანყალს, მაგრამ არაფერი გამოუვათ“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გია, რას უპასუხებდით მიხეილ სააკაშვილის გზავნილებს? მან ქუჩის პროტესტსა და მთავრობის მშვიდობიან ჩამოგდებაზე ისაუბრა, რაზეც მოგვიანებით პროკურორმა განაცხადა, რომ ამ საკითხით სამართალდამცავები დაინტერესდებიან.***

– რთულია სააკაშვილს სერიოზულად უპასუხო. სასამართლო სხდომებს პოლიტიკური განცხადებებისთვის ტრიბუნად იყენებს. რაც უფრო დრო გადის, ეს ადამიანი და მისი საქციელი დიდ გაუგებრობასა და აბსურდს ემსგავსება. მისი განცხადება მთავრობის დამხობაზე, მერე ჩაამატა „მშვიდობიანი დამხობაო“, არის პროვოკაცია. თუმცა, ასეთი გამოხტომები ახალი არ არის მისი მხრიდან.

თურმე 2008 წელს მას გადავურჩენივართ მთელი ქვეყანა, ესეც დაგვაყვედრა, მაგრამ ეს რომ მისი მოვალეობა იყო, ამაზე არაფერი არ უთქვამს.

***– მან იმაზეც ისაუბრა, რომ პრემიერმა ქუჩაში გამოსულ ხალხს ნაციონალები უწოდა. ე.ი. ვისაც შია და სწყურია ნაციონალია და ვინც გაზულუქებულია „ქოციაო“.***

– პრემიერს ასე არ უთქვამს, მაგრამ მილიონ ადამიანს, ვინც „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია, მან შეურაცხყოფა მიაყენა. მონები უწოდა. ეს ადამიანი არასდროს გამოირჩეოდა ზრდილობით, მაგრამ მოქალაქეებისთვის ასეთი შეურაცხყოფა წარმოუდგენელია. ამ ხალხს კარგად ახსოვს, მისი დამოკიდებულება საერთოდ ადამიანების მიმართ როგორ უნდა ყოფილიყო. ყველას ახსოვს მისი ცნობილი ნულოვანი ტოლერანტობა. როგორ ემუქრებოდა ის ოპოზიციონერ დეპუტატებს ტალახში ამოგანგვლით. ეს ადამიანი არ იცვლება. ასი წელიც რომ გავიდეს, სააკაშვილი არ შეიცვლება. ის ასეთად დარჩება.

***– ქუჩაში გამოსვლებისკენ მოწოდებას რომ დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ხალხის მობილიზებას?***

– როგორ ჩანს, კიდევ ფიქრობს, რომ შეძლებს ხალხის მობილიზებას. ეტყობა, რომ გადატრიალების ნოსტალგია მოაწვა და ამიტომ მოუწოდა ქუჩაში გასვლისკენ, მაგრამ არაფერი არ გამოუვათ. ცდილობენ, სხვადასხვა თემები შემოაგდონ.

***– კონკრეტულად?***

– მაგალითად, ბენზინზე ფასების ზრდა. ეს ის ხალხია, თუ დასჭირდათ, უკრაინის ომსაც რომ გამოიყენებენ საკუთარი მიზნებისთვის. როგორც ჩანს, გაზაფხული მოვიდა და საპროტესტო სეზონის გახსნას აპირებენ. ამაში არაფერი სიახლე არ არის.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ქუჩაში ადამიანები გულწრფელი პროტესტით არ გამოდიან? მაგალითად, სოციალური სიდუხჭირის გამო, ფასების ზრდის გამო?***

– შეიძლება, როგორ არა, ადამიანებმა გააპროტესტონ ფასებიც, ნებისმიერი სხვა რამეც, ჩვენ თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაგრამ ნებისმიერ კონკრეტულ აქციას ეტყობა, როგორ არის ორგანიზებული და ინიცირებული. ამას თქვენც ხომ ატყობთ.



**„ციხეს თუ აიღებენ და ისე გამოუშვებენ სააკაშვილს, ისე, მსგავსი არაფერი ხდება“**

***– პროტესტის სეზონის გახსნა ახსენეთ. გამოუვათ?***

– ბელადის მოწოდებას დაუჯერებენ. თან გაზაფხულია. კიდევ ერთხელ შეეცდებიან ქვეყნის ყანყალს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. მთელი ეს წლები ამით არიან დაკავებულები.

რაც შეეხება – ყველა ქუჩაში გამოსული ნაციონალია – ასე თქვა პრემიერმაო, ეს არის უტრირება. ასე ნამდვილად არ უთქვამს პრემიერ ღარიბაშვილს. ამ კონკრეტული აქციის ორგანიზატორები იყვნენ ნაციონალები. ესენი ხომ ყველა აქციის მარგინალიზებას ცდილობენ. მე არ დავემსგავსები სააკაშვილს და არ ვიტყვი იმას, რასაც ის ამბობს. დიახ, შეიძლება მოქალაქეებმა გულწრფელი პროტესტი გამოხატონ ბენზინის ფასების გაზრდის გამოც და სხვა რამის გამოც გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება და მე ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი მზად არიან, უკრაინის ომიც კი გამოიყენონ სათავისოდ. ცდილობენ, როგორმე გადაკიდონ უკრაინის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებას. რას არ აკეთებენ ამისთვის უკრაინის მთავრობაში მოკალათებული ძებნილები გია ლორთქიფანიძე, ადეიშვილი, მუხაძე, რომელიც ციხეში ადამიანებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აწამებდა. ასეთი ავაზაკები ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. საერთოდ, სააკაშვილი არაჟნების კონტეინერით ხომ უკრაინიდან შემოვიდა ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის.

***– ინფორმაცია გავრცელდა, რომ მიხეილ სააკაშვილს შეიძლება სასჯელი გადაუვადდეს და საზღვარგარეთ გაუშვან სამკურნალოდ გარკვეული პირობით. რა შეგიძლიათ მითხრათ ამ ინფორმაციაზე?***

– როგორ? თქვენ აპირებთ მის განთავისუფლებას?! ციხეს თუ აიღებენ და ისე გამოუშვებენ, არ ვიცი. არ დაიჯეროთ, მსგავსი არაფერი ხდება.

# „ლარის კურსი გაუფასურებას დაიწყებს 5 აპრილიდან, საწვავის საშუალო ფასი იქნება 4,5 ლარი“

## ოთო აბესაძე: „ამ აქციაზე რამდენიმე მინისტრის ოჯახის წევრი იყო და ისინიც ნაცები არიან?“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.**



***– ოთო, კვირას საკმაოდ მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც საზოგადოებამ საწვავის ფასები გააპროტესტა. აქციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი თქვენ იყავით. პრემიერმა გუშინდელი მთავრობის სხდომა სწორედ ამ საკითხით დაიწყო და განაცხადა, ამ აქციის უკან ნაციონალური მოძრაობა იდგაო. რას იტყვი ამის შესახებ? ანუ, თუ პროტესტი გაგიჩნდა, ნაცი ხარ?***

– მაგ ლოგიკით, დღეს საქართველოს მოსახლეობის 90% ნაცები ვართ. მათ შორის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ძირითადი ნაწილი ნაცები არიან, იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ვარ და ყველას ვიცნობ. ამ აქციაზე „ოცნების“ ძალიან ბევრი აქტივისტი ვნახე, ე.ი. ეგენიც ნაცები ყოფილან. გილოცავთ, ძალიან კარგი ამბავი ყოფილა ეს.

***– ოთო, ძალიან კარგად იცოდა ყველამ, რომ თქვენ იყავით აქციის ორგანიზატორი. რატომ დაგაბრალეს ნაცობა? თუ არა ხარ მათთან, თუ არ მოგწონს ხელისუფლების კონკრეტული ნაბიჯები, ე.ი. ნაცი ხარ?***

– ეს იყო პირდაპირი მნიშვნელობით, ჩემი მარგინალიზაციის მცდელობა. ყველამ იცოდა, რომ ჩართული ვიყავი ამ პროცესში და ფაქტიურად მოახდინეს ამ პროცესის მარგინალიზაცია. ეს აპრობირებული მეთოდია „ქართულ ოცნებაში“, რომ ვინც არის პროტესტის მხარეს და ითხოვს რაღაცა მნიშვნელოვან რეფორმას, ის ყველა ნაცია. გამოვიდა ისე, რომ მეც ნაცი ვარ, ჩემი ოჯახის წევრებიც ნაცები ყოფილან, „ქართული ოცნების“ წევრებიც ნაცები არიან, მათ შორის, რამდენიმე მინისტრის ოჯახის წევრი იყო ამ აქციაზე და ისინიც ნაცები არიან და ა.შ. და ა.შ.

***– ჩვენ, სხვა ქვეყნების ფონზე, ყველაზე კარგ მდგომარეობაში ვართო, პრემიერმა. იცით სხვაგან რა ხდება, რა ფასებია, რამხელა ინფლაციააო?***

– მოდით, ეს ყველაფერი დავაბრალოთ ეკონომიკურ განათლებას! პრემიერს არა აქვს ეკონომიკური განათლება და მინდა პირდაპირ მას მივმართო, ბატონო პრემიერო, გატყუებენ! გატყუებენ და რა კუთხით, რომ გეუბნებიან საქართველოში საწვავი ღირს ამდენი და ამდენი, ლარის კურსზე და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე იაფია, ეს არის დიდი ტყუილი! თუ რატომაა ტყუილი, ავუხსნი ბატონ პრემიერს.

ფულში მთავარი ნიუანსი არის მსყიდველუნარიანობა. მაგალითად: საშუალო სტატისტიკური ევროპელის ხელფასი რომ ავიღოთ, მას ერთ საათში ხელფასი აქვს 10 ევრო და 78 ცენტი. აქედან დღეში მუშაობს 8 საათი, თვეში 24 სამუშაო დღე. აქედან საშუალო ხელფასი გამოდის 2066 ევრო, უხეშად რომ ავიღოთ. გერმანიაში საწვავი ღირს 2 ევრო და 10 ცენტი. ნამდვილად ძვირია, 7 ლარამდეა, მაგრამ საშუალოდ, გერმანელს თვეში სჭირდება მოიხმაროს 250 ლიტრი ბენზინი და მისი საწვავის ხარჯი არის მისი შემოსავლის 30%-მდე. საქართველოში საშუალო ხელფასი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით არის 1450 ლარი, საიდანაც საწვავი ღირს 4 ლარი და საწვავის ხარჯი, იგივე 250 ლიტრზე არის 1000 ლარამდე. ანუ მისი შემოსავლის 70%-ზე მეტი! აი ეს სხვაობაა. დაინახა განსხვავება პრემიერმა?!

***– ოთო, ხელისუფლების პოზიცია დავინახეთ, ისინი არაფრის შეცვლას არ აპირებენ. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ფასები გაიზრდება. ამ ფონზე გაიზრდება პროტესტიც და ეს შეუქცევად ხასიათს მიიღებს. საზოგადოებაში ამ პროტესტს ველარ ჩააცხრობენ, ეს პროტესტი იქნება ყოველთვის.

***– იყო მცდელობა, რომ პოლიტიკური სარჩული მიეკერებინათ ამ აქციისთვის, მაგრამ პირველი მცდელობა იყო, როდესაც ფასების გაპროტესტებით ხალხი ქუჩაში გამოვიდა.***

– ამ აქციის ორგანიზატორები ვიყავით მე და ჩემი ყოფილი სტუდენტები! ჩემ გარდა არც ერთი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი და მე რომელი პარტიის წევრიც ვიყავი, „ქართული ოცნება“ იყო ის პარტია.

***– რა მოლოდინი გაქვთ? იმ მოთხოვნებს, რაც აქციაზე ისმოდა, დააკმაყოფილებს ხელისუფლება?***

– არანაირი მოლოდინი არ მაქვს. არაფერს არ შეცვლიან ხალხის სასიკეთოდ.

***– მაშინ რა უნდა ვქნათ?***

– ცოტა რთული სათქმელია. ყველამ ერთად უნდა მოვიფიქროთ ისეთი რამ, რომ აღარ იყოს ეს ეკონომიკური მოცემულობა. რასაც ვაკეთებთ ჩვენ, ემსახურება ერთ რამეს, რომ მივიღოთ რადიკალური და მკაფიო ეკონომიკური რეფორმები. ბატონო პრემიერო, ბენზინის სიიაფეს ნუ თვლით პირდაპირი კალკულაციით. ევროს და ლარის მსყიდველუნარიანობით დათვალეთ! ჩვენ აუცილებლად შევქმნით საქართველოში ახალ ეკონომიკურ რეალობას. მართალია ხელისუფლებისგან სრული იგნორი მივიღეთ, მაგრამ მათ გარდა აბსოლუტურად ყველა შეუერთდა ჩვენს მოთხოვნებს. ეს იქნება საექსპერტო წრეები, აკადემიური წრეები, პოლიტიკური პარტიები. აბსოლუტურად ყველა და როგორ შეიძლება მარტო „ოცნება“ იყოს მართალი?! მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ასეთი მიდგომაა, მარტო „ქართული ოცნებაა“ მართალი და ყველა სხვა დანარჩენი მტყუანი. ანუ ყველა ნაცები ვართ.

***– ქარიც რომ ქრის, ოპოზიციის ბრალია. ეს პოზა უჭირავს დღეს ხელისუფლებას და ჰგონია ყოველთვის გაუვა?***

– ახლა ჩვენი ბრალი ყოფილა ყველაფერი. ის კი არა, რომ აქციზის გადასახადი გააუქმონ და დღგ გაანახევრონ. თურმე ყველაფერი კარგად არის და ჩვენ ვიგონებთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია.

***– რა მოლოდინია, კიდევ გაიზრდება საწვავზე ფასი? ან ლარის კურსს რა ელოდება?***

– საწვავის საშუალო ფასი იქნება 4,5 ლარი. ხოლო ლარის კურსი გაუფასურებას დაიწყებს 5 აპრილიდან. ეს გარდაუვალია, ამას ვერ შეაჩერებენ.

***– გამოიტანს კიდევ რეზერვებს ეროვნული ბანკი, როგორც ამჯერად გააკეთა და გაამყარა ხელოვნურად ლარი.***

– სადღაა რეზერვები, თორემ, კი. აქვს, რომ გამოიტანოს?! ასე რომ, აპრილის დასაწყისიდან ლარი კვლავ გაუფასურდება.

# ლევან დავითაშვილი: „საქართველოში რუსეთიდან „შავი ფულის“ შემოტანის რისკი გამორიცხულია“

ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, საქართველოში რუსეთიდან „შავი ფულის“ შესაძლო შემოტანის რისკი აბსოლუტურად გამორიცხულია.

როგორც ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გუშინ, 28 მარტს, განმარტა, საქართველოს საბანკო სისტემა პასუხისმგებლიანია და ერთ-ერთი მოწინავეა გამჭვირვალობის კუთხით.

– თუ ადამიანი ოდნავ ჩახედული არის საკითხში, ალბათ, ძალიან მკაფიოდ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია, რომ დღეს საქართველოს ფინანსური სისტემა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს. ამ კუთხით საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრია, სადაც მსგავსი ტიპის ტრანზაქცია და რისკები გამორიცხულია. საქართველო არის ყველა იმ შეთანხმების ნაწილი, რომელიც არაკანონიერი შემოსავლების ბრუნვის პრევენციას აკეთებს, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისი განმარტებით, საქართველო ამ თვალსაზრისით სანდოა და შენიშვნა არასდროს ყოფილა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო მოქალაქეებს სიმშვიდისკენ“

## „არ უნდა ავყვეთ ემოციებს, პროვოკაციებს და გავაგრძელოთ მშვიდად და მტკიცედ ქვეყნის განვითარება“

– მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო მოქალაქეებს სიმშვიდისკენ, გამოწვევების ფონზე ქვეყანა ინარჩუნებს მშვიდობას, სტაბილურობას; ჩვენ არ უნდა ავყვეთ ემოციებს, პროვოკაციებს და ასე გავაგრძელოთ მშვიდად და მტკიცედ ქვეყნის განვითარება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში მშენებელ კომპანიებს წარედგინება გრძელვადიანი განვადებით მშენებლობის პაკეტი, აპრილიდან კი ინტენსიურად დაიწყება დასაქმების პროგრამაზე მუშაობა, რითაც ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება.

– ჩემი დავალების მიხედვით, ეკონომიკურმა გუნდმა უკვე გაამზადა პაკეტი, რომელიც უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში წარედგინება მშენებელ კომპანიებს. საკითხი ეხება გრძელვადიანი განვადებით მშენებლობის დაწყებას. ჩვენ გვინდა, რომ ამ გამოწვევების, კრიზისის ფონზე ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მაღალი იყოს ქვეყანაში. ამას პირდაპირ უკავშირდება დასაქმების პროგრამა, რომელზეც აპრილიდან ინტენსიურად დავიწყებთ მუშაობას და ათასობით სამუშაო ადგილს შევქმნით ქვეყანაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# „პუტინს საკუთარი სამხედრო ელიტა მოიშორებს“

## ანზორ აბრალავა: „საომარი მოქმედებები შეიძლება რუსეთს მოედოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინაში თვეზე მეტი ხანია გრძელდება. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.**

**ანზორ აბრალავა:**

– რუსეთის აგრესია უკრაინაში არ ყოფილა მოულოდნელობა. მოსალოდნელი ომის ნიშნები ჩანდა. უბრალოდ, ჩვენ თავს ვიიმედებდით და იმედს ვიტოვებდით, რომ ეს არ მოხდებოდა. სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა. აგრესია ერთმნიშვნელოვნად მოაწყო რუსეთმა. თუმცა, მისი მოწინააღმდეგე მარტო უკრაინა არ არის. არსებობენ კონფლიქტის სხვა მონაწილეები. აშშ, ნატო და ევროკავშირი ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობენ ამ პროცესებში. რუსეთის მიზანია იმპერიის აღდგენა. აშშ-ის ამოცანაა დაარტყას რუსეთს. იღვრება სისხლი, ინგრევა უკრაინა. ამ მძიმე სიტუაციაში წინდახედულება და სიდინჯე გვმართებს. ემოციების აყოლა არ გამოგვადგება. ასე უკრაინა გერმანელ ფაშისტებსაც არ დაუნგრევიათ.

***– რუსეთიდან გაიქცნენ და კიდევ გარბიან ცნობილი ადამიანები სხვადასხვა სფეროდან. წასულებს შორის არიან სახელმწიფო მოღვაწეები, ეკონომისტები ჩუბაისი და დვორკოვიჩი.***

– ორივე კარგად არის ცნობილი. რაც უნდა დემოკრატიული მანტია მოისხან, ამ პიროვნებებსაც და კიდევ სხვებსაც რუსეთში ახასიათებთ იმპერიული აზროვნება. უკრაინის მოვლენებთან ერთად უფრო ხშირად მოიხსენიებენ საქართველოს 2008 წლის ომს. სინამდვილეში, აგრესიული რუსეთი საქართველოში პირველად მაშინ არ გამოჩენილა. მანამდე იყო 1991 წლის სისხლიანი მოვლენები, შემდეგ – აფხაზეთის ომი და ამ ტერიტორიის ჩამოცილება 1993 წელს.

1991 წლის მოვლენები საქართველოში რუსეთის მოწყობილია. სამწუხაროდ, კრემლმა აიყოლია ქართველების გარკვეული ჯგუფი. არსებობს თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი ამ ამბებზე. კადრებში ნათლად ჩანს, რომელი ქართველები დგანან კალაშნიკოვის ავტომატით ხელში და ვინ მონაწილეობს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. ეს პიროვნებები დღეს აქტიური პოლიტიკოსები არიან. საქართველოში მომხდარ მაშინდელ საომარ მოქმედებსა და პროცესებზე გარეთ არავის ხმა არ ამოუღია. უკრაინის გვერდით ვდგავართ. უკრაინელი ხალხი ჩვენი მოძმეა. არ მესმის სხვა რამ. რატომ მოგვიწოდებენ მეორე ფრონტის გახსნას?!



### „გამოიკვეთა აშშ-ისა და ევროკავშირის შეცდომები“

***– ბოლოს უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა დანილოვმა მოუწოდა საქართველოსა და მოლდოვას მეორე ფრონტის გახსნისკენ. ამაზე საუბრობთ?***

– დიახ. ძალიან უნდათ, რომ საქართველოში მეორე ფრონტი გავხსნათ. ეს არის დამღუპველი. ჩვენ ომები გამოვლილი გვაქვს. რუსის ჯარი ყურის ძირში გვყავს დისლოცირებული. 2008 წელს სააკაშვილის ხელშეწყობით შემოვიდა რუსეთის ჯარი. ახლა სააკაშვილი და მაგისი ნაცმოძრაობა ბევრს ყვირის.

***– „ქართული ოცნებაც“ ყველა ღონეს ხმარობს, რომ ნაცმოძრაობამ ამ საკითხებზე იხმაუროს.***

– ადამიანს ენა იმიტომ არა აქვს, რომ ყველაფერი ილაპარაკოს. რაც მეტს იტყვის სააკაშვილი, მით მეტად გაამჟღავნებს საკუთარ ნამდვილ სახეს. სააკაშვილმა ტექნიკურად შემოაგდო ისეთი თემა, როგორიც არის ნეიტრალიტეტი. სააკაშვილს ჯერ არ უთქვამს, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეა. მან ეს საკითხი მოაქცია დღის წესრიგში. უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი მკაცრად აკრიტიკებს ნატოსა და ევროკავშირს. ის მზადაა იმსჯელოს უკრაინის ნეიტრალიტეტზე. ბევრჯერ მისაუბრია იმაზე, რომ ნატომ და ევროკავშირმა საქართველო (უკრაინაც) ბოლოს და ბოლოს უნდა მიიღონ თავის რიგებში და ეს დააჩქარონ. ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც აჩვენა, რომ ევროკავშირი და ნატო ბიუროკრატიული სტრუქტურებია. ამ ორგანიზაციებში პირველ ადგილზე დგას ბიუროკრატიზმი. გამოიკვეთა აშშ-ისა და ევროკავშირის შეცდომები. ისინი ჩიხში შევიდნენ. რუსეთმა განიცადა დიდი კრახი. პირველ რიგში, სამხედრო და სადაზვერვო კრახი. მოსკოვს ჩაფიქრებული ბლიცკრიგი ჩაუფლავდა. ევროკავშირის ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში მიღებაზე ტყუილი დაპირებები არ უნდა მიეცათ. ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველო ნატოში უნდა მიიღონ ყოველგვარი მაპების გარეშე. ჩვენი სამხედროები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მისიაში. სხვათა შორის, სამშვიდობო მისიითაც შეიძლებოდა საქართველოსთან თანამშრომლობა და აქ მისიის განლაგება. დასავლეთმა გამოიჩინა სისუსტე.

***– საომარი მოქმედებები დიდხანს გაგრძელდება?***

– ასეთი გეგმა არსებობს. ომის ეს ფაზა დიდი ხნის განმავლობაში უნდა გაიჭიმოს. გეგმის მიხედვით, ომი უნდა გადავიდეს რუსეთში. საომარი მოქმედებები შეიძლება მართლაც მოედოს რუსეთს. რუსეთზე ასეთი პროგნოზი მაქვს: ხუთი-ათი წლის შემდეგ მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციის დაშლა. პუტინს ხანდახან სტალინს ადარებენ. ეს არასწორია. ჩაიდინა თუ არა სტალინმა ცუდი, სხვა საკითხია. მთავარი ისაა, რომ სტალინის დროს საბჭოთა კავშირს პარტნიორებად ჰყავდა აშშ და დიდი ბრიტანეთი. ეს ანტიჰიტლერული კოალიცია ქმნიდა მსოფლიო წესრიგს.

***– პუტინს მოკავშირეები არ ჰყავს?***

– არ ჰყავს. ქვეყნის შიგნით რუსეთში არეულობა და უთანხმოებაა. მესამე მსოფლიო ომი, გარკვეულ სახით, უკვე მიმდინარეობს და უკრაინაში არ დაწყებულა. იყო მოვლენები ერაყში, სირიაში, ლიბიაში. რომის პაპმა 2014 თუ 2015 წელს თქვა, რომ სამყარო მესამე მსოფლიო ომის ფაზაში იმყოფება. 2008 წელს გამოვაქვეყნე ჩემი სამეცნიერო ნაშრომი მესამე მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შესახებ. ეს, ფაქტობრივად, ომია. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა შეცვლილია და კიდევ იცვლება. ჩვენ ამ მსოფლიოში ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ. საქართველოს ომში ჩაბმა არ შეიძლება. ამით დავამთავრებთ ჩვენს სახელმწიფოებრიობას. საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ იმ ძალებს, რომლებიც 2008 წელს რუსეთის სამხედროებს არა თუ არ ებრძოდნენ, არამედ, ემსახურებოდნენ. ის ომი დაიწყო რუსეთმა. მას გვერდით ედგა სააკაშვილი. სააკაშვილის გუბერნატორები მძღოლებად დაუდგნენ საქართველოში შემოსულ რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებს. ზოგიერთი პოლიტიკოსი სააკაშვილის გარემოცვიდან რუსებს გორში სტალინის ძეგლის დაბომბვას სთხოვდა. დღეს უნდათ, რომ საქართველო გახდეს მეორე ფრონტი.

***– არსებობს მოსაზრება, რომ შემდეგი ფრონტი იქნება ჩინეთში ტაივანის წინააღმდეგ, ასევე სერბეთში კოსოვოს წინააღმდეგ.***

– ხდება ახალ-ახალი სცენარების შემუშავება. ვნახოთ, რომელი განხორციელდება. ერთი რამ არის აშკარა – პუტინს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ელიტა თანამდებობაზე არ დატოვებს. პუტინს მოიშორებენ. მას არ ჰყავს საგარეო მოკავშირეები და არ აქვს თანხმობა ქვეყნის შიგნით.

***– ევროპელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთში ისეა ფესვგადგმული იმპერიული აზროვნება, რომ პუტინის (ერთი პირის) შეცვლა შედეგს ვერ მოიტანს.***

– იმპერიულ აზროვნებაზე მეც გითხარით. ჩვენ დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები არ უნდა მივიღოთ. უკრაინელი ხალხის გვერდით ვართ. ამასთან, არ მიმაჩნია სწორად უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი პოზიცია. მაგალითად, საქართველოდან ელჩის გაწვევა. დანილოვის მოწოდება სახიფათოა. საქართველოს ხელისუფლებას ვაკრიტიკებ იმის გამო, რომ თავის დროზე მკაცრი შეფასება არ მისცა ძებნილი პირების (ქართველების) უკრაინაში თანამდებობებზე დანიშვნას. ამ პირების წინააღმდეგ სტრასბურის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენები გამოიტანა.

# „სად ვართ — დასავლეთთან თუ რუსეთის ბანაკში?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კრიტიკის თემაა, მაგრამ თან ევროკავშირი გვინდა, თან ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ გადაუხვიე კურსსო და თან ოპოზიციას ეუბნება საზოგადოება, რომ შენც კარი უნდა მიგეჯახუნებინა ევროპისთვის? სად არის აქ თანმიმდევრული ლოგიკა?! ნამდვილად არ არის! ოპოზიცია რომ არ ყოფილიყო და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, ამ ბოლო პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით დავრჩებოდით ამ ხელისუფლების სამარცხვინო პოზიციონირების ამარა. ოპოზიცია რომ პარლამენტშია და მანდატიანი ხალხი რომ განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს, მათ შორის წერილობით, ვინმეს გონია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი?! ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პროცესებში ბევრი რამ სხვაგვარად განვითარდებოდა, რომ არა მანდატიანი ადამიანების სრულიად ჯანსაღი პოზიცია. დროა ამას გასცდეს საზოგადოება და ოპოზიციის მიმართ ჰქონდეს ჯანსაღი მოთხოვნები.

***– ამ ფონზე ოპოზიციაც რომ არ არის ერთიანი?***

– მე არ მგონია, რომ ოპოზიციის ის ნაწილი, ვინც დღეს პარლამენტში არ არის წარმოდგენილი, რაიმე უფრო ეფექტიან საქმეს აკეთებდეს, ვიდრე პარლამენტში მყოფნი. ვისურვებდი, რომ ამ შესვლა-გამოსვლის საკითხს გასცდეს საზოგადოება. იმ ადამიანებს და იმ ჯგუფებს, ვისაც ცალსახად კარგად გვესმის ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, მე მეჩვენება, რომ აქაც, ოპოზიციაშიც ორი ფლანგია, ნაცვლად იმისა რომ ერთმანეთს ვაძლიერებდეთ და კოორდინირებულად ვმოქმედებდეთ, ხშირად ერთმანეთის კრიტიკით ვართ დაკავებული. ამ სიტუაციაში ერთმანეთზე თავდასხმები არასწორია. ლელო ამას არ აკეთებს, მაგრამ სხვები აკეთებენ. ამ სიტუაციაში ყველას უნდა, რომ სუფთად გამოძვრეს და სხვაზე უკეთ გამოიყურებოდეს. ასე არ გამოვა! უკაცრავად და მე მომთხოვოს პასუხი იმ ადამიანმა, ვინც 15-20 წელია პოლიტიკაშია, ყველაფერთან ერთად, ცოტა უხერხულია. თითის გაშვერის პოლიტიკა, უხერხულთან ერთად, ქვეყნისთვისაა დამაზიანებელი.

***– ანა, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა დაიწყო პარლამენტმა. პრეზიდენტს უკავშირდება ეს ყველაფერი, მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიააო. რას იტყვი, რას ცდილობს ხელისუფლება?***

– დღეს ეს პრეზიდენტია, ხვალ სხვა იქნება... ეს არის ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ მოქმედებები იმისთვის, რომ მისგან განსხვავებულად მოაზროვნე და მოქნილი პირების მიმართ გააგრძელოს დევნა. მათთვის პარტიული ხაზიდან გადახვევა არის საშიში. ვინც გადაუხვევს, მზად არიან მაშინვე ჩაქოლონ. ეს არის დავა საქართველოს საგარეო კურსზე და სხვა არაფერზე. აქედანაც კარგად ჩანს საქართველოს ხელისუფლების პრორუსული მენტალობა. მთავრობა ედავება პრეზიდენტს, შენ რატომ წახვედიო, როცა თვითონ საერთოდ არ წავიდა და არაფერი გააკეთა. ნათელია, რასთან გვაქვს საქმე! მათ არ სურთ, რომ საქართველოს ოფიციალური პირები იმ პოზიციებს აჟღერებდნენ, რაც პრეზიდენტმა გააჟღერა.

# ირაკლი კობახიძე: „ჩვენი ხელისუფლება წინ აღუდგება აფხაზ და ოს ძმებთან სამხედრო დაპირისპირებას“

## „არ დავუშვებთ საქართველოს ჩათრევას სამხედრო კონფლიქტში“

– საქართველოს ხელისუფლება რჩება მშვიდობიანი დეოკუპაციის პოლიტიკის ერთგული და წინ აღუდგება ყველა პროვოკაციას, რომელიც ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ახალი სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას ისახავს მიზნად. ის არ დაუშვებს საქართველოს ჩათრევას სამხედრო კონფლიქტში.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გუშინ, 28 მარტს, პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნისა და უკრაინაში მიმდინარე ომის საქართველოში გადმოტანის მიზანშეწონილობაზე საუბარი ღიად „ომის პარტიის“ – „ნაციონალური მოძრაობის“ უკრაინაში მორიგი ვიზიტის შემდეგ დაიწყეს.

– როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ შედგა „ომის პარტიის“ – „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ვიზიტი უკრაინაში. როგორც გაირკვა, ვიზიტმა „წარმატებით“ ჩაიარა, რადგან მისი დასრულებისთანავე, უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა ღიად დაიწყეს საუბარი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნისა და უკრაინაში მიმდინარე ომის საქართველოში გადმოტანის მიზანშეწონილობაზე. უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის, ალექსეი დანილოვის განცხადება ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო.

ჩვენ საზოგადოებას არაერთგზის გავუზიარეთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწყობილი ყველა პროვოკაციის უმთავრესი მიზანი უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩათრევა და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა გახლდათ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება მუდმივი მოწოდებები რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ; ამავე მიზანს ემსახურებოდა უმძიმესი პროვოკაციული მცდელობა, საქართველოს მთავრობის ნებართვით უკრაინაში გაგზავნილიყო მოხალისე მებრძოლებით სავსე თვითმფრინავი; ამავე მიზანს ემსახურებოდა დისკრიმინაციული პროპაგანდა რუსი ეროვნების მოქალაქეების წინააღმდეგ, მოწოდებები ხელისუფლების მიერ იარაღის შეძენისკენ (ყველას გახსოვთ, მაგალითად, გიორგი მარგველაშვილის განცხადებები ამასთან დაკავშირებით), სამხედრო სტატუსის შესახებ თემის სპეკულაციური წამოწევა, მოწოდებები ხელისუფლების მიერ უხეში რიტორიკის გამოყენებისკენ და ა.შ.

საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევაც იყო „ომის პარტიის“ მიერ ორგანიზებული პოლიტიკური ზეწოლის აქტი, რომელიც საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევასა და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ცვლილებას ისახავდა მიზნად.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება, საქართველოს ხელისუფლებამ „ომის პარტიის“ ყველა ამ პროვოკაციას სათანადოდ უპასუხა და ქვეყანაში ვითარების ესკალაცია არ დაუშვა, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, საქართველოში სამხედრო კონფლიქტის გადმოტანის მიზანს ემსახურება, აგრეთვე, „ომის პარტიის“ პირდაპირი თუ ირიბი საუბრები ე.წ. შესაძლებლობის ფანჯარაზე და მოწოდებები ომის გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ.

– აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რჩება მშვიდობიანი დეოკუპაციის პოლიტიკის ერთგული და წინ აღუდგება ყველა პროვოკაციას, რომელიც ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ახალი სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას ისახავს მიზნად.

ყველას კარგად გვესმის, რომ ნებისმიერი ომი აფხაზეთსა და ცხინვალში იქნება არა მხოლოდ ომი ქართველებსა და რუსეთის საოკუპაციო ძალებს შორის, არამედ, ასევე, ომი ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის.

ახალი ძმათამკვლელი ომი იქნება უდიდესი, უპატიებელი დანაშაული ჩვენი ქვეყნის ისტორიის წინაშე, რასაც ჩვენ აღარ დავუშვებთ.

თუ არსებული მძიმე ვითარება ქმნის რაიმე შესაძლებლობის ფანჯარას ამ თვალსაზრისით, ეს არის შესაძლებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს გავუწოდოთ დახმარების ხელი გამწვავებულ სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, სათანადო პასუხს გასცემს „ომის პარტიის“ ყველა პროვოკაციას და არ დაუშვებს საქართველოს ჩათრევას სამხედრო კონფლიქტში.

ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის წინაშე, – განაცხადა კობახიძემ.

## 28 მარტიდან მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და მართვის უფლების მოპოვება სავალდებულო გახდა

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ახალი კატეგორია „ამ“, რომელიც აერთიანებს მოპედებსა და მსუბუქ კვადროციკლებს.

28 მარტიდან მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და „ამ“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვება სავალდებულო ხდება.

„ამ“ კატეგორიის მართვის უფლების მოსაპოვებლად ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 16 წლიდან. მოპედებსა და მსუბუქ კვადროციკლებზე მართვის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა მხოლოდ თეორიული გამოცდის ჩაბარება. თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად, პირველად გასვლის დროს, დაინტერესებული პირები სრულად თავისუფლდებიან გამოცდაზე გასვლის საფასურისგან. „ამ“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია რიგში ადგილის დაჯავშნის გარეშე. ასევე, აღსანიშნავია, რომ თუ პირი ფლობს ნებისმიერი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლებას, მას უფლება აქვს, მართოს „ამ“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები. 28 მარტიდან „ამ“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში დაინტერესებული პირის მიერ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში. დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაციის წესების დარღვევა და მართვის უფლების გარეშე მოპედითა და მსუბუქი კვადროციკლით გადაადგილება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას.

## ლაშა ქოიავა: „2008 წლის ომში უგულავას ყოველი სიტყვა დანაშაული იყო“

– თუ ოდესმე საქართველოში შედგება ტრიბუნალი და იგი 2008 წლის ომს განიხილავს, გიგი უგულავა ამ ტრიბუნალზე ერთ-ერთი პასუხისმგებელი იქნება.

ამის შესახებ სახმელეთო ჯარების სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ომის ვეტერანმა, ლაშა ქოიავამ „იმედის კვირას“ განუცხადა. ლაშა ქოიავას განცხადებით, 2008 წელს იგი გორის ცენტრში იმყოფებოდა და იცის, ვინ გასცემდა განკარგულებებს. მან „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს სხვა წევრებთან ერთად, 2008 წელს გიგი უგულავას მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულის შესახებ ისაუბრა. იგი მიიჩნევს, რომ რეზერვისტების საომარ მოქმედებებში ჩართვა, რომელთაც მხოლოდ 18-დღიანი მომზადება ჰქონდათ გავლილი, დაუშვებელი იყო.

– დოქტრინა, რაც დაწერეს რეზერვის გამოყენების შესახებ, ის არ იყო სწორი და სწორად როგორ გამოიყენებ?! მოიყვანეს ხალხი. საშინელი დანაშაულია! დაახლოებით, 30 ათასი შეიარაღებული ადამიანი შემოიყვანეს გორში. მსუბუქი, ხელის იარაღით იყვნენ შეიარაღებული და სამხედრო ფორმაში ჩაცმულები. ანუ, ჯარი შეიყვანეს და ის მშვიდობიან მოსახლეობას ამოაფარეს. ხალხის ასეთი მასა თვითმფრინავიდან უკვე ჩანს, როდესაც ის საბრძოლო სიმაღლეზეა.

გიგი უგულავა ერთ-ერთი მოთავე იყო. ოდიოზური ფიგურაა და ჩანდა. რის საფუძველზე იძლეოდა განკარგულებებს, არავინ იცის, მაგრამ ის იძლეოდა განკარგულებებსა და ბრძანებებს. ყოველი მისი სიტყვა არის დანაშაული.

თუ ოდესმე საქართველოში შედგება ტრიბუნალი და იგი 2008 წლის ომს განიხილავს, გიგი უგულავა ერთ-ერთი პასუხისმგებელი იქნება, – განაცხადა ქოიავამ.

## ნატახტართან ოპელი ტოიოტას შეასკდა

### 2 ადამიანი დაიღუპა

27 მარტს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ნატახტართან – ერთმანეთს „ოპელისა“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. არსებული ინფორმაციით, 2 ადამიანი დაიღუპა. თვითმხილველების თქმით, „ოპელის“ მარკის ავტომობილი თბილისის მიმართულებით ავტობანის იმ მხარეს მოძრაობდა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომობილებისთვის არის განკუთვნილი. ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული.

## ვარკეთილში გაზგასამართ სადგურზე აფეთქება მოხდა

27 მარტს თბილისში ვარკეთილის მეურნეობაში გაზგასამართ სადგურზე აფეთქება მოხდა. არსებული ინფორმაციით, აფეთქების დროს 2 ადამიანი მსუბუქად დაშავდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, აფეთქების შედეგად გაჩენილი ხანძარი დროზე იქნა ლიკვიდირებული.

## საწვავზე ფასების წინააღმდეგ აქციებზე 20 პირი დააკავეს




თბილისში საწვავის ფასებთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციაზე 20 პირი დააკავეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

უწყების ცნობით, დაკავებულებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით ედებათ ბრალი, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

27 მარტს მოქალაქეებმა, რომლებიც საწვავზე ფასებს აპროტესტებენ, მსვლელობა რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყეს, რის შემდეგაც პარლამენტთან შეჩერდნენ, შემდეგ კი, გმირთა მოედანზე გადაინაცვლეს, სადაც ესტაკადები ჩაკეტეს, რასაც ადგილზე საავტომობილო მოძრაობის პარალიზება, მოგვიანებით კი აქციის მონაწილეებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

აქციის ორი მთავარი მოთხოვნა საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმება და დღგ-ს გადასახადის მცურავ რეჟიმზე გადაყვანა იყო, რაც, აქციის მონაწილეების განცხადებით, 80-90 თეთრით გააიაფებს საწვავის ფასს.

## ირაკლი შოთაძე: „სტრასბურის სასამართლოში წარსადგენად ასობით მტკიცებულება მოვაგროვეთ“




– ეს გადაწყვეტილება არის ქართული მხარის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება სტრასბურის სასამართლოში, 2008 წლის ომთან დაკავშირებით. პროკურატურა და ჩვენი გამომძიებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესში.

ასე ეხმაურება საქართველოს გენერალური პროკურორი სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

ირაკლი შოთაძის განცხადებით, ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა საქმის მოსაგებად.

– ჩვენ მოვაგროვეთ ასობით მტკიცებულება, რომლებიც წარდგენილი იყო სტრასბურის სასამართლოში და რომლებმაც ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი იქონია ქართული მხარის გამარჯვებაში და მე მინდა ამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს მივულოცო. ეს იყო იუსტიციის სამინისტრო, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და, რა თქმა უნდა, ჩვენ, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

2008 წლის ომთან დაკავშირებით, საქართველომ სტრასბურის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

## მედეა ჯანიაშვილი: „თაღლითური შემთხვევების აღმოსაფხვრელად შსს-ს რეაგირება მისასალმებელია“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მედეა ჯანიაშვილი თაღლითური ორგანიზებული ჯგუფის 13 წევრის დაკავებას ეხმაურება, რომლებიც ტურისტებს მოტყუებით შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამო დიდ თანხებს ახდევინებდნენ. მედეა ჯანიაშვილი მიესალმება შინაგან საქმეთა სამინისტროს სწრაფ რეაგირებას ტურისტების წინააღმდეგ ჩადენილი თაღლითობის შემთხვევაზე.

– ძალიან სამწუხაროა ასეთი ფაქტების არსებობა ჩვენს ქვეყანაში ტურისტების მიმართ, რაც განსაკუთრებით მოქმედებს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯზე. მისასალმებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება აღნიშნული შემთხვევის აღმოფხვრის მიმართულებით, – განაცხადა მედეა ჯანიაშვილმა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები უცხოელი ტურისტების მიმართ ჩადენილი თაღლითური ქმედებით სოლიდურ შემოსავლებს იღებდნენ. ბრალდებულები ტურისტებს მოტყუებით, მუქარით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით, იძულებით ახდევინებდნენ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამო, არარეალურ, დიდ თანხებს.



მათი დანაშაულებრივი ქმედებით სერიოზულად ილახებოდა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯი და ჩვენს ქვეყანაში არსებული უსაფრთხო გარემოს რეპუტაცია.

## სად აიკრძალა მოძრაობა უამინდობის გამო

ქვეყნის მასშტაბით ძლიერი თოვისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, საავტომობილო გზებზე გაწმენდითი სამუშაოები 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს, იყრება ქვიშა-მარილის ნარევი და ტარდება ყველა აუცილებელი ღონისძიება ავტოტრანსპორტის გამავლობის შენარჩუნებისათვის.

ამ დროისთვის გადაადგილების სპეციალური რეჟიმები მოქმედებს შემდეგ საავტომობილო გზებზე:

ინტენსიური თოვის და ლიპყინულის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ138-კმ200 (ჩუმათელეთი-არგვეთა) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება თავისუფალია. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების საფრთხის დონე მაღალია, რის გამოც აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მლეთა-გუდაურის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გაუჩერებლად გავლის რეჟიმში

ინტენსიური თოვის, ქარბუქისა და ზვავსაშიშროების გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ43-კმ45 (ნაქერალას უღელტეხილი) მონაკვეთზე, აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა

თოვლის და ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ94-კმ110 (ფარავნის უღელტეხილი) მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ამავე საავტომობილო გზის კმ1-კმ93 მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება თავისუფალია

ინტენსიური თოვის და დაბალი ტემპერატურის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ1-კმ52 მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება თავისუფალია. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია

ლიპყინულის გამო, საჩხერე-ონის საავტომობილო გზაზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის გადაადგილება, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია

ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ70-კმ186 (ხაიში-უშგული) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. ხოლო, კმ138-კმ186 (მესტია-უშგული) მონაკვეთზე მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის (ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე) მოძრაობა თავისუფალია. საავტომობილო გზის კმ1-კმ70 (ზუგდიდი-ხაიში) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმოძრაონ გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილონ საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს.

## რა შემთხვევაში ჩაეთვლებათ პატიმრებს ციხეში ყოფნის 4 დღე 5 დღედ

### ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტზე იმსჯელა

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღეს. კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, მსოფლიოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, საქართველოს მოუწია რიგი პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების გამოყენება, რაც რიგ შემთხვევებში დაკავშირებული იყო ადამიანის ცალკეული უფლებების შეზღუდვასთან. შეზღუდვები შეეხო პატიმრობაში მყოფ პირებსაც, რომლებსაც თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ისედაც შეზღუდული აქვთ მთელი რიგი უფლებები.

მომხსენებლის განცხადებით, პანდემიით შექმნილი მდგომარეობა მათთვის განსაკუთრებით რთული გამოდგა, რის გამოც სახელმწიფო, სამართლიანი კომპენსირების მიზნით, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაუთვლის განსხვავებული წესით.

– კერძოდ, კანონპროექტის მიღების შედეგად, ყველა პირს, რომელიც 2020 წლის 5 მარტიდან 25 მაისამდე, ასევე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში იმყოფებოდა პატიმრობაში ბრალდებულის ან მსჯავრდადებულის სტატუსით და რომლებსაც მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეეზღუდათ პატიმრობის კოდექსით გარანტირებული ხანმოკლე პაემნის უფლება, პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე ჩაეთვლება სასჯელის მოხდაში შემდეგი გაანგარიშებით – პატიმრობაში ყოფნის 4 დღე: სასჯელის მოხდის 5 დღე. ამნისტიის აქტი გავრცელდება 2004 წლის 1 იანვრამდე ჩადენილ დანაშაულებზე.

ამასთან, ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში, მისი შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, დანაშაულის ჩამდენი პირი არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ. კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

## პრობაციის სააგენტოს ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ბიბლიოთერაპიის კუთხით გადამზადდნენ

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების განახლება გრძელდება. ამჯერად სააგენტოს ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ბიბლიოთერაპიის მიმართულებით გადამზადდნენ. ფსიქო-სოციალური და პრო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების განახლება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ხორციელდება. პარალელურად მიმდინარეობს ახალ პროგრამებზე სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ფასილიტატორებად გადამზადება. ეს ცვლილება პრობაციის სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბენეფიციარებისთვის ხარისხიანი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების მიწოდებას ისახავს მიზნად. პროგრამების განახლება სააგენტოს მსჯავრდადებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების სამუშაო ჯგუფის ინიციატივით ხორციელდება.

მის მხარდაჭერას აშშ-ის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო უზრუნველყოფს. პროცესში დარგისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების – „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის“ ექსპერტები არიან ჩართული.

## გურჯაანში ნაძვი 2 მანქანას დაეცა

გუშინ, 28 მარტს, ქალაქ გურჯაანში ქარისგან მოგლეჯილი მრავალწლოვანი ნაძვი ორ ავტომანქანას დაეცა და დააზიანა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო სამსახურის ბრიგადები. შემთხვევის შედეგად, არავინ დაშავებულა. მრავალწლიანი ხეები მოგლეჯილია თელავის მუნიციპალიტეტშიც, სახურავებია გადახდილი ავტოფარეხებზე. ადგილზე შესაბამისი სამსახურები მუშაობდნენ. ძლიერმა ქარმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზებიც, რის გამოც ასობით აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. შეფერხებული იყო თელავის ინტერნეტ მომსახურებაც.

# უკრაინელების მოსყიდვისთვის რუსებმა მილიარდები გადაიხადეს

## პუტინი აგენტებმაც გადააგდეს



– რუსეთმა 2014 წლიდან მილიარდობით დოლარი დახარჯა უკრაინის პრორუს პოლიტიკოსებზე, რომლებსაც ერთგვარი შიდა გადატრიალება უნდა მოეწყოთ ქვეყანაში, თუმცა ამ ადამიანებმა პუტინი, უბრალოდ, გადააგდეს.

ინფორმაციას საგამოძიებო ჟურნალისტური ჯგუფის, ბილინგქეთის, აღმასრულებელი დირექტორი ავრცელებს.

ხრისტო გროზევის განცხადებით, საუბარია 160-მდე ფსბ-ს ოფიცერზე, რომლებსაც განუსაზღვრელი ბიუჯეტი ჰქონდათ გამოყოფილი უკრაინელების გადასაბირებლად.

– უკვე ვასრულებთ გამოძიებას, თუ რამდენი ფული დახარჯა რუსეთის ფსბ-მ, რომ აგენტურული მხარდაჭერა ჰქონოდა ამ ომისთვის უკრაინაში, რათა შეჭრისთანავე სახელმწიფო გადატრიალება შიგნიდან მომხდარიყო. საუბარია მილიარდობით დოლარზე, რაც 2014 წლიდან დღემდე დაიხარჯა 150-160 მაღალანაზღაურებად ფსბ-ს ოფიცერზე.

ყოველ მათგანს ჰქონდა განუსაზღვრელი ბიუჯეტი, რომ გადაებირებინათ უკრაინელები. ხვდებოდნენ მათ ტაილანდში, მალდივებზე, კვიპროსზე, თანხას ხელზე აძლევდნენ და, წარმოიდგინეთ, ამ უკრაინელმა აგენტებმაც გადააგდეს.

ზელენსკის გადაწყვეტილება ზოგიერთი პარტიის დახურვის შესახებ სწორი იყო, რადგან სწორედ ამ პარტიების წარმომადგენლებს ვხედავთ ფსბ-ს დაჯგუფებებში, მათ ფსბ აკონტროლებდათ, – ამბობს ბილინგქეთის აღმასრულებელი დირექტორი ხრისტო გროზევი.

# შოლცი: „უკრაინაში შეჭრით პუტინმა იმის საწინააღმდეგო მიიღო, რასაც ელოდა“



გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის განცხადებით, უკრაინაში შეჭრით პუტინმა იმის საპირისპირო მიიღო, რისი მიღებაც სურდა. მისი თქმით, პუტინი ფიქრობდა, რომ უკრაინაში რუსულ ძალებს მიესალმებოდნენ.

– ფაქტობრივად, მთელი უკრაინა ერთად დადგა, – აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

მისი თქმით, პუტინის ქმედებებმა ასევე გამოიწვია ის, რომ ნატომ გააძლიერა ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის დაცვა.

# ჩავუშოღლუსა და კულებას შორის სატელეფონო საუბარი შედგა



გუშინ, 28 მარტს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ამის შესახებ ინფორმაციას თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, ორი ქვეყნის პირველმა დიპლომატებმა უკრაინაში არსებულ ვითარებასა და სტამბოლში უკრაინისა და რუსეთის დელეგაციებს შორის დაგეგმილ მოლაპარაკებებზე გაამახვილეს ყურადღება.

# ოლეგ უსტენკო: „ვუჩივლებთ ყველას, ვინც უკრაინელი ხალხის მკვლელობას აფინანსებდა“



– ჩვენ ვუჩივლებთ ყველას, ვინც ჩვენი ხალხის მკვლელობას აფინანსებდა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ეკონომიკურმა მრჩეველმა ოლეგ უსტენკომ სკაი ნიუსთან საუბარში განაცხადა.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსულ ნავთობს ემბარგო დაუწესა, ევროპული ქვეყნები ჯერ ისევ არ აკეთებენ იმავეს.

– მთელი ცივილიზებული სამყარო ცდილობს ამ ომის გაჩერებას, მაგრამ, ამავდროულად, გზავნიან ფულს ამ ომის დასაფინანსებლად. ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ ვაპირებთ ვუჩივლოთ ყველას, ვინც ჩვენი ხალხის მკვლელობას აფინანსებდა, – განაცხადა ოლეგ უსტენკომ.

მისივე ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა სრულად გაანადგურეს საპორტო ქალაქი მარიუპოლი, ქალაქები ჩერნიგოვი და ხარკოვი კი 70%-ით განადგურებულია.

# უკრაინელი დეპუტატი მოწამლეს



უკრაინის სახალხო დეპუტატი რუსტემ უმეროვი, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებზე უკრაინის დელეგაციის წევრი იყო, კიევში მოწამლეს.

პოლიტიკოსი ცოცხალია და თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს, ამის შესახებ გამოცემა „საagentos“ რუსი გამომძიებელი ჟურნალისტები წყაროებზე დაყრდნობით წერენ.

მედიის ცნობით, მარტში უმეროვმა უკრაინის დელეგაციის შემადგენლობა დატოვა.

გამოცემის წყაროების ცნობით, დეპუტატი კიევში მოწამლეს. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, უმეროვთან ერთად უბრალო ხალხიც დაზარალდა, მაგრამ ეს არ იყო „ნოვიჩოკით“ მოწამვლა.

გავრცელებული ცნობით, უკრაინა მომხდარზე დახურულ გამოძიებას აწარმოებს.

# შანხაიში ბოლო 2 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ლოკდაუნი დაწესდა

შანხაიში ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ლოკდაუნი დაწესდა.

მოსახლეობას არ შეეძლება სახლების დატოვება. დაკეტილია ოფისები, მაღაზიები და რესტორნები.

იმუშავებენ მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის საწარმოები.

უკვე რამდენიმე კვირაა, კოვიდ-19-ით ინფიცირებულთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს.

# ბრიტანელმა ერთი ბუჩქიდან რეკორდული რაოდენობის პომიდორი მოკრიფა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა პომიდვრის ერთი ბუჩქიდან ათასზე მეტი პომიდორი ჩერი მოკრიფა და საკუთარივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა,

ჰარტფორდშირის საგრაფოს მკვიდრი დუგლას სმიტი გინესის რეკორდების წიგნში რამდენიმე კვირის განმავლობაში მეორედ მოხვდა. სმიტმა პირველად ერთი ბუჩქიდან 839 ცალი პომიდორი ჩერი მოკრიფა, ხოლო მეორედ 1269 ცალი. სწორედ მეორე შედეგი გახდა ახალი მსოფლიო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდი ათი წლის წინ დამყარდა და 488 ცალ პომიდორ ჩერის შეადგენდა ერთი ბუჩქიდან.

# მამაკაცმა სანიაღვრე კანალიზაციაში ორი დღე გაატარა და სასწაულებრივად გადარჩა

აშშ-ში მაშველებს სამსაათნახევარი დასჭირდათ, რომ სანიაღვრე კანალიზაციის მილიდან მამაკაცი ამოეყვანათ, რომელიც იქ თავად ჩაძვრა და ორი დღე გაატარა.

აღნიშნული ინციდენტი კალიფორნიის შტატის ქალაქ ანტიოკში მოხდა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დახმარების თხოვნის შეძახილები გაიგონა, რომელიც სანიაღვრე კანალიზაციის მილიდან ისმოდა და მაშველები გამოიძახა. როდესაც შემთხვევის ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, ოთხნახევარი მეტრის სიღრმეზე 40 სანტიმეტრის დიამეტრის მილში მამაკაცი იყო გაჭედილი და თავად ვერ ახერხებდა გამოძრომას.



მაშველების ერთი ჯგუფი კოლექტორში ჩავიდა და მიწისქვეშ ცდილობდა მამაკაცამდე მიღწევას, ხოლო მეორე ჯგუფი ზევიდან ბეტონის მილის დაშლას შეუდგა. გადარჩენილი 30 წლის მამაკაცი აღმოჩნდა.

– ამ ისტორიაში რამდენიმე სასწაულებრივი ეპიზოდია. მისი ძახილი გაიგონა გამვლელმა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ქარი ქროდა, ხოლო სანიაღვრე მილები საზოგადოებრივი ადგილიდან მოშორებით ღობითაა გამოყოფილი. როდესაც ადგილზე მეხანძრეები მივიდნენ, მათ ვერაფერი გაიგეს და უკან გამობრუნებასაც აპირებდნენ. მაგრამ ბრიგადის უფროსმა გადაწყვიტა, მთელი ტერიტორია შეემოწმებინა, – განაცხადა სახანძრო დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცი საავადმყოფოში მოათავსეს, მან განაცხადა, სანიაღვრე კანალიზაციაში საკუთარი სურვილით ჩაძვრა, მაგრამ უკან გამოსვლა ველარ მოახერხა. მისი თქმით, მან იქ ორი დღე გაატარა, რაც ექიმებმაც დაადასტურეს მისი გამოკვლევის შემდეგ. მას საკუთარი ქმედების მოტივი არ დაუსახელებია.

# ვეფხვი, სახელად პუტინი, აშშ-ის ზოოპარკში მოულოდნელად მოკვდა

აშშ-ში 12 წლის ამურის ვეფხვი, სახელად პუტინი, რომელიც მინესოტას ზოოპარკის ბინადარი იყო, სამედიცინო პროცედურის დროს მოულოდნელად დაიღუპა.

ზოოპარკის მონაცემებით, ხვად ვეფხვს სამედიცინო პროცედურის დროს გულის უკმარისობა დაემართა.

– მიუხედავად ვეტერინარების, სპეციალისტებისა და ზოოპარკის თანამშრომლების დიდი ძალისხმევისა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, – ნათქვამია ზოოპარკის განცხადებაში.

ვეფხვისთვის ჩატარებული პროცედურა წარმოადგენდა ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, რომელშიც შედიოდა გამრავლებისთვის საჭირო ნიმუშების აღებაც. ეს კი მნიშვნელოვანია გადაშენების პირას მყოფი სახეობების გასამრავლებლად, მათ შორის, ამურის ვეფხვისაც.

ვეფხვი დაიბადა ჩეხეთში და სახელად დაერქვა პუტინი. ის ექვსი წელი დანიის ზოოპარკის ბინადარი იყო, სანამ 2015 წელს მინესოტას ზოოპარკში გადმოიყვანდნენ.

# პოლიციელებმა მამაკაცი გადაარჩინეს და მაშინვე დააპატიმრეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში პოლიციელებმა ტუალეტის კაბინაში გაჭედილი მამაკაცი გადაარჩინეს და იქვე დააპატიმრეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქუჩის ტუალეტში გაჭედილმა ჯეიმს გუსმა გამვლელთა ყურადღება მიიქცია. მამაკაცი დახმარებას ითხოვდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა შენიშნეს, რომ ტუალეტის კაბინის კარის ქვევიდან ფეხი იყო გამოჩრილი.

გუსის თქმით, მას შემთხვევით მოჰყვა ფეხი კარში და ახლა გამოსვლას ველარ ახერხებდა. სამართალდამცავებმა მამაკაცი გამოიყვანეს, იქვე ბალახზე დასვეს, ხოლო როდესაც ტუალეტის კაბინაში შეიხედეს, იქ ოპიუმიანი ანალგეტიკი ფენტალინით აღმოაჩინეს. ამის შემდეგ მამაკაცი ადგილზევე დააპატიმრეს და რამდენიმე ბრალდება წაუყენეს ნარკოტიკებით ვაჭრობის მუხლებით.

# მამაკაცს ვეფხვების გამასპინძლება კინაღამ ხელების დაკარგვად დაუჯდა



აშშ-ში ვეფხვი თავს დაესხა ნაკრძალის თანამშრომელს, რომელიც, აკრძალვის მიუხედავად, მტაცებლისთვის საჭმლის მიცემას ცდილობდა და კინაღამ უხელებოდ დარჩა.

აღნიშნული შემთხვევა ფლორიდის შტატში ევერგლეიდსის ეროვნული პარკის მახლობლად მოხდა ადგილობრივი დროით, დაახლოებით 4:30 საათზე. კოლიერის ოლქის შერიფის ოფისის მონაცემებით, როდესაც სპეციალისტი ვეფხვს საკვებს აძლევდა, ვოლიერში პარკის მეორე თანამშრომელი შევიდა. მამაკაცი შეეცადა თავადაც მიეცა მტაცებლებისთვის ხორცის ნაჭერი, ვეფხვი კი მას თავს დაესხა.

ვეფხვის მისგან მოშორება სწრაფადვე მოხერხდა, თუმცა პარკის თანამშრომელმა ხელებზე სერიოზული დაზიანებები მიიღო და ის სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულს მტაცებლებთან მუშაობის უფლება არ ჰქონდა.

– მანამდე, სანამ ადამიანებს სჯერათ, რომ შეუძლიათ უბრალოდ ვეფხვს თავზე ხელი გადაუსვან, ან მათთან ვოლიერში შევიდნენ, ასეთი სამწუხარო ინციდენტები განმეორდება, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა დები მეტცლერმა.

# ქალის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილმა მის ოჯახს სოლიდური მოგება მოუტანა




ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატში მამაკაცს მეუღლის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ სოლიდური მოგება მოუტანა.

მამაკაცის თქმით, მან ლატარიის ბილეთი, რომელმაც მის ოჯახს სიმდიდრე მოუტანა, შემთხვევით შეიძინა მაშინ, როდესაც მანქანის იძულებით გაჩერება მოუხდა. ის და მისი მეუღლე ავტომობილით საქმეებზე მიდიოდნენ, როდესაც მის ცოლს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება დასჭირდა.

წყვილმა მანქანა ავტოგასამართ სადგურზე გააჩერა და სანამ ცოლი ტუალეტში იმყოფებოდა, ქმარმა გადაწყვიტა ადგილობრივ მაღაზიაში ლატარია კაროლინა რიჩის ბილეთი შეეძინა. შემდეგ ის მეუღლის დაბრუნებას დაელოდა, რათა ბილეთი ერთად შეემოწმებინათ. როდესაც ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკეს, აღმოჩნდა, რომ მათი ოჯახი 200 ათასი დოლარით გამდიდრდა.

– არც კი ვიცით, რა ვიფიქროთ, ეს უზარმაზარი სიურპრიზი იყო, – განაცხადა იღბლიანმა ამერიკელმა და იქვე დაამატა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რაში გამოიყენებენ მოგებულ თანხას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თსუ ისევ ლიდერობს

**თსუ-დინამო 87:78**
**(28:16, 24:18, 18:21, 17:23)**

სუპერლიგის ცხრილის სხვადასხვა პოლუსებზე მყოფი გუნდების მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. ლიდერმა თსუ-მ აუტსაიდერი დინამო 87:78 დაამარცხა. ბოლო 2 მატჩის მომგებმა, მაგრამ მაინც ბოლო ადგილზე მყოფმა დინამოელებმა ვერ მოახერხეს იმ მცირე ჩავარდნით ესარგებლათ, რაც უნივერსიტეტელებს ბოლო მატჩების წაგების გათვალისწინებით ჰქონდათ.

თსუ-მ სუპერლიგის წინა ტურში ბათუმთან წააგო, მის წინა შეხვედრა კი, თასზე მეგასთან დათმო. მართალია, ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ უნივერსიტეტელებს წაგებულ მატჩებში ტრავმების გამო რამდენიმე მოთამაშე აკლდათ, მაგრამ ლიდერ გუნდს 1-2 მოთამაშის არყოფნა არ უნდა ეტყობოდეს. დინამოელთა მოლოდინი არ გამართლდა – თსუ სრულად მობილიზებული გავიდა მოედანზე სათამაშოდ. მიუხედავად ერთ-ერთი გამრჯე ამერიკელის – რაილ ოუენსის არყოფნისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ზედმეტი გართულების გარეშე მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

ლაფანაშვილი მატჩის შემდეგ იმ ნეგატიური მომენტზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელიც მის გუნდს ბოლო პერიოდში მოუვიდა. მე-3 პერიოდის შუაწელში მოპოვებული სოლიდური (26 ქულა) ლიდერობა სტუდენტებმა გაანიავეს. ბოლომდე არა, მაგრამ მესამე ათწუთეულის მიწურულს რომ დაიწყეს, დინამოელები მიჰყვნენ და მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ჩამორჩენა 6 ქულამდე (70:76) შეამცირეს.

უნივერსიტეტის მთავარმა მწვრთნელმა სასწრაფოდ წუთშესვენება აიღო, კალათბურთელებს კონკრეტული დავალებები მისცა. შედეგად, თსუ-მ ლიდერობა კვლავ გაზარდა, ამასობაში ბოლო წუთებმაც მოატანა და საფინალო სირენაც ისე გაისმა, დაძაბულობას მოედანზე არ დაუსადგურებია. თსუ იოლად მივიდა სუპერლიგაში მე-12 გამარჯვებამდე და პირველი ადგილი გაიმყარა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო ტრადიციულად ლოველ ქაბილი გახდა – 20 ქულა, 8 პასი, 6 ჩაჭრა. დინამოელთა რიგებში 21-21 ქულით ვლადიმერ თავაქარაშვილი და ბენჯამინ ქოლეჯი გამოირჩნენ.

**ქუთაისი-რუსთავი 90:80**
**(23:25, 25:17, 22:17, 20:21)**

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა მოქმედ ჩემპიონს, მაგრამ ამ მომენტისთვის ცხრილის შუაში მყოფ რუსთავს უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით – 90:80 დაამარცხა.

ქვემოქართლურმა გუნდმა შეხვედრა გამრჯედ დაიწყო და თავდაპირველად სოლიდურად ლიდერობდა. რუსთაველთა უპირატესობა ქუთაისელებმა დაცვით გააბათილეს და პირველი პერიოდის ბოლოსთვის ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. მეორე მეოთხედიდან მასპინძლები კიდევ უფრო შედეგიანად ათამაშდნენ და დიდ შესვენებამდე ლიდერობა 6 ქულამდე გაიმყარეს.



მესამე პერიოდში ქუთაისელთა უპირატესობამ 18 ქულას მიაღწია, რაც ფაქტობრივად გამარჯვებას ნიშნავდა. რუსთაველები, ცხადია, შეეცადნენ თამაშის გადარჩენას და ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს. თამაშის გადასარჩენად საკმარისი დრო კი რჩებოდა, მაგრამ აკაკი დვალიშვილისა და გიორგი კორსანტიას შედეგიანობით მასპინძლებმა გამარჯვება გაინაღდეს.

აკაკი დვალიშვილმა, რომელიც რუსთაველია, ქუთაისის შემადგენლობაში სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა – მის ანგარიშზე 19 ქულა, 13 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. 17 ქულა გიორგი კორსანტიამ მიითვალა, სტივენ ფლეჯერმა – 16. რუსთავში 21 ქულით ლუვეინ პიპკინსი გამოირჩა, 17-17 ქულა იშმაელ ჰოლისმა და კრისტიან კილინგმა მოაგროვეს.

**მეგა-ოლიმპი 83:90**
**(21:27, 15:15, 15:25, 32:23)**

ოლიმპელთა მორიგი მსხვერპლი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი მეგაა, რომელსაც თავის მხრივ 3-მატჩიანი მოგებათა სერია უმაგრებდა ზურგს. აღსანიშნავია, რომ მეგას აკლდა ერთ-ერთი ლიდერი დემონტე ფლანიგანი, რომელმაც 2 ტურის წინ თსუ-სთან მატჩში მუხლი იტკინა.

შეხვედრა ოლიმპელთა უპირატესობით რომ დაიწყო, ასევე დამთავრდა. პირველი პერიოდი როგავას გუნდმა 27:21 მოიგო, მე-2 ათწუთეული კი, ფრედ დასრულდა. დიდი შესვენების შემდეგ ოლიმპელებმა გააგრძელეს უპირატესობის გამყარება – კახა ჯინჭარაძე და გივი ბაქრაძე უკანა ხაზიდან, ხოლო ფარქვეშ ლუკა კალატოზიშვილი აქტიურობდა. შედეგად ოლიმპის ლიდერობამ 20 ქულას მიაღწია და ბოლო პერიოდში შეხვედრამ ინტრიგა დაკარგა. მართალია, მეგას კალათბურთელები ბოლომდე იბრძოდნენ და ბოლო წუთზე 12-ქულიანი ჩამორჩენა 5-ამდე შეამცირეს, თუმცა თამაშის შემობრუნება ვეღარ მოახერხეს. ოლიმპმა 90:83 იმარჯვა და წარმატებული სერია გააგრძელა.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით, 8 მოხსნითა და 4 პასით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე. კალატოზიშვილმა 19 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, გივი ბაქრაძის ანგარიშზე კი 14 ქულა და 5 პასი დაგროვდა. მეგაში 28 ქულით, 7 მოხსნით და 5 პასით ჯიმონ ჰენსონი გამოირჩა, 21 ქულა – ოთარ ბულიავამ.

**კაკტუსი-ტიტები 76:77**
**(22:19, 19:13, 16:25, 19:20)**

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა საკალათბურთო კლუბმა ტიტებმა, რომელმაც ბოლო მატჩებში წარმატებული კაკტუსი დაამარცხა და მიმდინარე ჩემპიონატში მე-6 გამარჯვების მოპოვებით გასავარდნ ზონას მცირედით დაშორდა. თავის მხრივ კაკტუსმა 4-მატჩიანი წარმატებული სერია შეწყვიტა და ცხრილში ამ მომენტისთვის 6 მოგებით 4 გუნდია წარმოდგენილი – მეგა, კაკტუსი, ტიტები და რუსთავი, რომლებიც ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით ცხრილში 6-9 ადგილებზე ამ თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი.

შეხვედრა ძალიან დაძაბული და უშეღავათო გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო წამებზე გაირკვა. გამარჯვებული ერთმა წარმატებულმა შეტევამ და მეორე გუნდის წარუმატებელმა სროლამ გადაწყვიტა. გამარჯვებული ტიტები აღმოჩნდა, რომლის წევრებმაც გადამწყვეტ ეპიზოდში მეტი სიზუსტე გამოავლინეს.

ბოლო წუთზე, ტიტების ამერიკელი ლეგიონერის და ამ მატჩში საუკეთესო ბომბარდირის, ისააკ ასრატის აცილებული სამქულიანის შემდეგ რევაზ როგავამ სწრაფი გარღვევა შედეგიანად დააგვირგვინა და კაკტუსი მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე 1 ქულით – 76:75 დააწინაურა. ტიტების საპასუხო შეტევაში ამ გუნდის წევრებმა ორჯერ ააცილეს ორქულიანი – ჯერ ასრატმა, შემდეგ ლევან ბაბილოძემ გააცუდეს სროლები, თუმცა მხსნელად ტიტებს ჯავიონ ოგუნიემი მოევლინა, რომელმაც ბურთი მოიხელთა და დასრულებამდე 14 წამით ადრე დამაწინაურებელი ბურთი ჩააგდო – 77:76.

ბოლო შეტევაში ჯორდან ფორბსმა ბურთი მიზანს ააცილა, რომელსაც მისი თანაგუნდელი, დერიკ ნიუტონი დაეპატრონა, მაგრამ დროის ამოწურვის გამო სროლა ვეღარ მოასწრო – 77:76 ტიტების სასარგებლოდ.

ტიტებს 24 ქულითა და 10 მოხსნით ოგუნიემიმ ულიდერა. ასრატის ანგარიშზე 24 ქულა დაგროვდა, ლევან ბაბილოძე გამარჯვებულებს 13 ქულით შეეხიდა. კაკტუსში 18 ქულით ბომბარდირი გახდა რევაზ როგავა, 14 ქულა დენზელ ლივინგსტონმა, ხოლო 13 – ლუკა ზაქრაძემ მიითვალა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 15 | 12 | 31246-1159 | 27 |
| 2.ქუთაისი | 14 | 10 | 41245-1149 | 24 |
| 3.ვერა | 15 | 9 | 61272-1310 | 24 |
| 4.ოლიმპი | 14 | 9 | 51156-1103 | 23 |
| 5.ბათუმი | 14 | 8 | 61175-1108 | 22 |
| 6.რუსთავი | 15 | 6 | 91212-1262 | 21 |
| 7.კაკტუსი | 15 | 6 | 91155-1178 | 21 |
| 8.მეგა | 15 | 6 | 91205-1230 | 21 |
| 9.ტიტები | 14 | 6 | 81133-1119 | 20 |
| 10.ცხუმი | 14 | 5 | 91119-1154 | 19 |
| 11.დინამო | 15 | 3 | 121209-1355 | 18 |

# ყატარი წილისყრისთვის მზად არის




2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით ყატარი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. საფეხბურთო ისტორიაში პირველად, მუნდიალი ზამთარში გაიმართება. მონაწილეობას 32 ქვეყნის ნაკრები მიიღებს, თუმცა საბოლოო შემადგენლობა ჯერ გარკვეული არაა. მანამდე წილისყრაა. 1 აპრილს ყატარის დედაქალაქ დოჰაში გაირკვევა, თუ როგორ გადანაწილდებიან გუნდები ჯგუფებში.

ახლა ჩატარების პრინციპი: 32 გუნდი გადანაწილდება ოთხ კალათში, თითოში რვა გუნდი იქნება მოთავსებული. ნაკრებები ნუმერაციის მიხედვითაც დაეწყობა და ა-დან ჰ ჯგუფამდე გადანაწილდებიან. წილისყრის დროს იქნება გარკვეული შეზღუდვებიც: ყატარს, როგორც მასპინძელ ქვეყანას, მიენიჭება ა-1 ნომერი, რომელიც ავტომატურად ა ჯგუფში ჩაჯდება, დანარჩენი გუნდები ზემოთ ნახსენები ნუმერაციით განთავსდება. ასევე შეზღუდვების მიხედვით, თითო ჯგუფში, თითო კონტინენტიდან თითო გუნდი უნდა იყოს. მაგალითისთვის, ბრაზილიის ნაკრების ჯგუფში ვერ მოხვდება რომელიმე სამხრეთ ამერიკული ნაკრები, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ევროპულ გუნდებზე, რადგან ბევრი კონტინენტიდან გაცილებით მეტი გუნდია, ვიდრე ჯგუფებია. შედეგად, თითო ჯგუფში უნდა იყოს მინიმუმ ერთი და არაუმეტეს ორი ევროპული გუნდი. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ჩემპიონატის რვა ჯგუფიდან ხუთში ევროპას ორ-ორი გუნდი ეყოლება.

# შედეგები

## 27 მარტი

**მჩ-2022. შესარჩევი ეტაპი**

**კონკაკაფი**

სალვადორი-კოსტა რიკა ............ 1:2
აშშ-პანამა ............ 5:1
ჰონდურასი-მექსიკა ............ 0:1
კანადა-იამაიკა ............ 4:0

**ოკეანეთი**

სოლ.კუნძულები-პაპუა ახ.გვინეა 3:2
ახალი ზელანდია-ტაიტი ............ 1:0

**ამხანაგური მატჩები**

ტაილანდი-სურინამი ............ 1:0
გვატემალა-ჰაიტი ............ 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-პონფერადინა ............ 3:1
ბურგოსი-ტენერიფე ............ 1:0
ალკორკონი-ვალიადოლიდი ............ 1:2
მალაგა-უესკა ............ 0:2
ალმერია-ხირონა ............ 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველო და ალბანეთი სათამაშოდ მზად არიან

29 მარტს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ალბანეთს ეთამაშება. ვილი სანიოლის გუნდი უკვე ალბანეთშია და სპარინგისთვის ემზადება.

ბოსნია-ჰერცეგოვინასთან გამარჯვების შემდეგ, ვილი სანიოლის გუნდი მომავალი მატჩის დისლოკაციის ადგილზე ჩავიდა და მატჩისწინა ვარჯიშიც გამართა. სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, ტრავმირებულები არ გვყავს.

**დავით ვოლკოვი:**

– ზედიზედ 4 გამარჯვება გვაქვს, გუნდი კარგ ხასიათზეა. მოლოდინი გვაქვს, რომ ყველა თამაშზე მოსაგებად გავიდეთ, ტაქტიკურად გამართულად ვითამაშოთ და მწვრთნელის დავალებები კარგად შევასრულოთ. ვფიქრობ, ალბანეთი იგივე დონის გუნდია, როგორსაც ივნისში ერთა ლიგაზე შევხვდებით. დარწმუნებული ვარ, ალბანეთის ნაკრებთან კარგი ამხანაგური თამაში იქნება. შევეცდებით, გამარჯვებით დავასრულოთ ეს მატჩი და კარგი განწყობით შევხვდეთ ერთა ლიგას.

საქართველოს ნაკრები ალბანეთში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა:

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (მეტალისტი, უკრაინა);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ);

**თავდასხმა:** გიორგი ბერიძე, ბუდუ ზივზივაძე (ორივე უიპეშტი, უნგრეთი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი), ვაკო ყაზაიშვილი (ჰიუნდაი, ს.კორეა).

რაც შეეხება ალბანეთის ნაკრებს, რომელმაც 26 მარტს, სტუმრად, ესპანეთის ნაკრებთან ითამაშა და ბოლო წუთზე გაშვებული გოლით 1:2 დამარცხდა. როგორც ადგილობრივი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია იტყობინება, ესპანელებთან მატჩის შემდეგ გუნდს 3 ფეხბურთელი გამოაკლდა.

ერთ-ერთია მირტო უზუნი, რომელმაც ესპანეთის ნაკრებთან გოლი გაიტანა. უზუნი გრანადაში დაბრუნდა, რადგან ესპანურ კლუბსა და ფედერაციას შორის თავიდანვე იყო შეთანხმება, რომ ის მხოლოდ ესპანეთთან ითამაშებდა და შემდეგ კლუბში დაბრუნდებოდა,



რომელსაც ლა ლიგის უახლოეს ტურში მნიშვნელოვანი მატჩი ელოდება. იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა რაიო ვალეკანოს ფეხბურთელი ივან ბალიუსი.

ალბანეთის ნაკრებს ასევე გამოაკლდა ესპანიოლის ნახევარმცველი კეიდი ბარე, რომელსაც ტრავმა აქვს და, სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, საქართველოსთან არ ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ნაკრები ჯერ კიდევ ბარსელონაშია, იქ ვარჯიშობს და მთავარი მწვრთნელის, ედოარდო რეიას მატჩისწინა პრესკონფერენციაც კატალონიის დედაქალაქში გაიმართა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში.

**ედოარდო რეია:**

– საქართველო ესპანეთის ნაკრებისგან განსხვავებულია. ქართველი ფეხბურთელები თავს კარგად იცავენ, ბევრს დარბიან და მათი კონტრშეტევები სახიფათოა. საქართველო ძლიერი გუნდია, ბოსნია დაამარცხა. მოედანზე მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვიასპარეზოთ, მწვანე მინდორზე ტექნიკურად სრულყოფილი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ეს არის ჩვენი მიზანი, ჩვენი ამოცანა. ასევე, მაქსიმალურად მცირე რაოდენობის შეცდომა დავუშვათ. ბიჭებმა იციან, როგორ უნდა ითამაშონ. ესპანეთი ხომ მკვეთრად განსხვავებული გუნდია, ესპანელთა ფილოსოფია განსხვავებულია, შესაძლოა, 50 პასი ისე შეასრულონ, რომ ბურთს ერთხელაც ვერ შეეხო. საქართველო ესპანეთისგან განსხვავებული გუნდია, მაგრამ ბევრად სუსტი გუნდი ნამდვილად არაა.

შეგახსენებთ, რომ ალბანეთი-საქართველოს მატჩი 29 მარტს 20:00 საათზე დაიწყება.

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგული სამოდელო ფირმა; 2. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ტყავის შემცველი მინერალი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. ერთხმიანი პარტია ოპერაში.

**თარაზულად:** 5. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. დონ-კიხოტის გვარი; 10. ფალსიფიცირებული ღვინის სახელწოდება ძველად საქართველოში; 11. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. ბენტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. შოკოლადის ხე; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სატყორცნი ფეთქებადი ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუმფარა; 2. სელი; 3. მეგრე; 4. არმაზი; 6. დინდგელი; 9. ვექილი; 13. სექვოია; 14. ნუსხური; 15. ბისტრო; 17. გერმა; 18. დიეზი; 20. ლეკი.

**თარაზულად:** 1. დასლერი; 5. შოუდუ; 7. თემშარა; 8. მელიავა; 10. თავნი; 11. რამპა; 12. მექისე; 16. ჯუნგლი; 17. განდი; 19. ქაჯი; 21. უტზონი; 22. ემბაზი; 23. ბორანო; 24. სირაჯი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კონკური; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. სინოპეკი; 7. კონდიტერი; 8. ფრეჟიუსი; 12. ნატამალი; 14. ესტაკადა; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. კები; 20. ბრნო.

**თარაზულად:** 5. მოწამეთა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. ესქილე; 18. წყალი; 21. ზავენტემი; 22. უიარაღო; 23. ფილიპსი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ISSN 1987-9385


29 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1917 |
| ევრო | — 3.5054 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.1987 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.2443 |

## ამინდის პროგნოზი 29 მარტისათვის




## პოლ პოგბა: „ცუდია, რომ წელს ტიტულს ვერ მოვიგებთ“



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას გული წყდება, რომ იუნაიტედი წელს ტიტულისთვის ვერ იბრძოლებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გუნდიდან წავა:

– მინდა, რომ იუნაიტედმა უფრო მეტს მიაღწიოს და მეორე, ან მესამე ადგილი არ მაკმაყოფილებს. შევეცდები, რომ მომავალ წელს მდგომარეობა შეიცვალოს.

## ანსუ ფატიმ ვარჯიში განაახლა



ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ ვარჯიში განაახლა და შესაძლოა უკვე შემდეგ შეხვედრაში ის მოედანზე ვიხილოთ, თუ ხავი მის დაყენებას გადაწყვეტს.

ფატის არყოფნის დროს ბარსელონამ ფორვარდი იყიდა და ანსუს, სავარაუდოდ, გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება. თვითონ ფატიმაც ისაუბრა ამის შესახებ და თქვა, რომ მას გამოწვევები არ აშინებს.

## პედრი: „ვიცი, რომ უფრო მეტი შემიძლია“



ბარსელონას ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მან იცის, რომ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, თუმცა ის თავისი ამჟამინდელი ფორმითაც კმაყოფილია:

– მიხარია, რომ ბარსელონაში ვარ და აქ ყოველთვის ბედნიერი ვიქნები, თუმცა ვარჯიშებზე ყოველდღე ვმუშაობ იმისთვის, რომ უკეთესი გავხდე და გუნდს უფრო მეტი სარგებელი მოვუტანო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

საწარმოს დირექტორი სამუშაოს დაწყების მსურველს ეუბნება:

– დაივიწყე ყველაფერი, რასაც უნივერსიტეტში გასწავლიდნენ.

– კი მაგრამ, უნივერსიტეტში არ მისწავლია.

– მაშინ არ გამოგვადგებით, ჩვენ გვჭირდება თანამშრომლები უმაღლესი განათლებით.

•••

ქალს საყვარელი ჰყავს. ლოგინში წვანან. ამ დროს კარზე ზარია.

– ვაიმე, ქმარი დაბრუნდა მივლინებიდან... – ეუბნება ქალი.

– როგორც იქნა, – შუბლზე ოფლი მოიწმინდა საყვარელმა.

•••

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– რას მივიღებთ, თუ რვას შუაზე გავყოფთ?

– თუ ვერტიკალურად, მაშინ ორ სამიანს მივიღებთ, ხოლო თუ ჰორიზონტალურად, მაშინ ორ ნულიანს.

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, დიდი ხანია, ცოლთან არ ვწოლილვარ.

– და ბოლოს როდის გქონდათ სექსი ცოლთან?

– და აღარც მახსოვს. ერთ წუთს, ცოლს დავურეკავ და ვკითხავ...

ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ალო! საყვარელო, ბოლოს როდის გვქონდა სექსი მე და შენ?

– რომელი ხარ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაია ბარათაშვილი უკრაინელების დასახმარებლად იმღერებს



ჯაზ მომღერალი მაია ბარათაშვილი უკრაინელების დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

თბილისის ბიგბენდის სოლისტი 3 აპრილს აბრეშუმის ქარხანაში დაზარალებული უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად საღამოს ჩაატარებს.

ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაერიცხება წითელ ჯვარს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. კონცერტს უსასყიდლოდ დაესწრებიან საქართველოში ჩარჩენილი უკრაინის მოქალაქეები.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ჯაზის მუსიკოსები: გიორგი რაქვიაშვილი (ფორტეპიანო/არანჟირება), გიორგი სამსონაძე (კონტრაბასი), გიორგი მელიქიშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები/არანჟირება/ბექვოკალი), სპეციალური სტუმრების სახით – ზაზა მარჯანიშვილი (ფორტეპიანო/არანჟირება), ვანიანო ხაჩიძე (აკორდეონი).

საკონცერტო პროგრამა მოიცავს ამერიკელი და უკრაინელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. კონცერტის საინფორმაციო მხარდაჭერასა და ვიდეო გადაღებას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განახორციელებს.

## დემნამ ლონდონში ბალენსიაგას ყველაზე დიდი მაღაზია გახსნა



ქართველმა დიზაინერმა დემნამ პარიზში ახალი კოლექციის წარდგენის შემდეგ, მოდის მოყვარულები ლონდონში მიიწვია, სადაც ბალენსიაგას ახალი და ევროპაში ყველაზე დიდი მაღაზია გაიხსნა.

დემნა ბალენსიაგას გუნდთან ერთად ახალ მაღაზიაზე 2 წელი მუშაობდა. მაღაზია ბონდ-სტრიტზე მდებარეობს. უცხოური გამოცემების ინფორმაციით, მაღაზიის გახსნა 6.2 მილიონი დოლარი დაჯდა.

ტრადიციულად, ჟურნალისტებმა ეს სიახლე დემნასთან ინტერვიუსთვის გამოიყენეს:

– რას გვეტყვით ბალენსიაგაზე?

– ჩემი ესთეტიკა პირად გამოცდილებას უკავშირდება, მაგრამ მე მას კომპანიის სამსახურში ვიყენებ.

– მოდელების შერჩევაზე?

– ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც სახეებს მსოფლიოში ეძებენ. ქუჩის ქასტინგი, პერსონაჟების ქასტინგი და კინო ქასტინგი.

– თვლით თუ არა თავს ლიდერად?

– ლიდერი დიდი სიტყვაა. საკუთარ თავს შემოქმედებით აქტივისტად ვხედავ.

– აპირებთ თუ არა შვეიცარიიდან გადასვლას?

– არა, მომწონს იქ ცხოვრება, მაგრამ ვფიქრობ, რომ როდესაც შვილი მეყოლება, შვეიცარიის ფრანგულენოვან ნაწილში გადავალ.

– რატომ შემოიერთეთ მერჩენდაიზერების დეპარტამენტი?

– მერჩენდაიზერს უფლება რომ მივცე თავისი სურვილით იმოქმედოს, ბრენდში ჩემი ხედვა აღარ დარჩება. ისინი ფიქრობენ: „ვიცით, ამერიკაში რა გაიყიდა, ვიცით, ჩინეთში რა გაიყიდა, ახლა ფერი შევუცვალოთ“ და მორჩა!

## ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ქართული სტენდი იქნება წარმოდგენილი

5-7 აპრილს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და მწერალთა სახლი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნულ სტენდს წარადგენენ. საქართველო ლონდონის წიგნის ბაზრობაზე უკვე მერვედ იღებს მონაწილეობას და ტრადიციულად, ბრიტანულ წიგნის ბაზარზე ქართველი ავტორებისა და გამომცემლების პოპულარიზაციას ემსახურება. საქართველოს ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება 200-მდე დასახელების ახალი ქართული გამოცემა, ასევე ქართველი გამომცემლების, მწერალთა სახლისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ მომზადებული კატალოგები. დამთვალიერებლებს სტენდზე 2016-2020 წლების ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ნახვაც შეეძლებათ.

ეროვნული სტენდი დაეთმობა უკრაინის თემაზე შექმნილ მხარდამჭერ ილუსტრაციებსაც, რომლებიც ქართველმა ილუსტრატორებმა გიორგი გაგოშიძემ, სონია ელიაშვილმა, გიორგი ჯინჭარაძემ და თეონა ჭანიშვილმა სპეციალურად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად შექმნეს. ამ გზით ქართველი გამომცემლები უკრაინელი ხალხის მიმართ სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას კიდევ ერთხელ გამოხატავენ.

## თეატრალური უნივერსიტეტის სასწავლო სცენას მიხეილ თუმანიშვილის სახელი მიენიჭა

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო სცენას, აუდიტორია №2-ს რეჟისორისა და პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის სახელი მიენიჭა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სცენის პრეზენტაციაზე მიწვეული სტუმრებისთვის შედგა წიგნის პრეზენტაცია „თეატრალური ხელოვნების სწავლების შესახებ“, რომლის შემდგენელი ლიკა თუმანიშვილია. ამავე დარბაზში ნაჩვენები იქნა გიორგი სიხარულიძის ფილმი, რომელიც მიხეილ თუმანიშვილისა და რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

## გოგა ჩანადირი ტელეწამყვანი გახდა

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი ტელეწამყვანი გახდა. სულ მალე ტელეკომპანია „პრაიმ ტივის“ ეთერში იგი თბილისის შესახებ მომზადებულ გადაცემას საინტერესო სტუმრებთან ერთად შემოგვთავაზებს:

– ცოტა ხანში ახალ ამპლუაში მიხილავთ – მაუწყებლობას იწყებს ტელეკომპანია „პრაიმ ტვ“ და მე მისი გადაცემა „დედაქალაქის“ წამყვანი და მთხრობელი ვიქნები. გვიყურეთ.

გიორგი კეკელიძე ეროვნულ ბიბლიოთეკას ქველმოქმედებს დაუთმობს

– ვერთიანდებით უკრაინისთვის! – ასე ჰქვია საქველმოქმედო ღონისძიებას, რომელიც 30 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება.



გიორგი კეკელიძე:

– საღამოს ზაპოროჟიედან და მარიუპოლიდან ომის დაწყებამდე ჩამოსული უკრაინელები გამართავენ. საოცარი ადამიანები, რომლებიც თვითონ საჭიროებენ დახმარებას, საკუთარი თანამოქალაქეებისთვის წარმოდგენას შემოგვთავაზებენ. გელით ყველას!

4 აპრილს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად ონლაინ ფორუმს გამართავს, სადაც ბიბლიოთეკარები თითქმის მთელი უკრაინიდან გაგვიზიარებენ, თუ როგორ უმკლავდებიან რუსეთის აგრესიას საკუთარი სიცოცხლის ფასად და როგორ ინარჩუნებენ კულტურულ მემკვიდრეობას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



29 მარტისათვის

**ვერძი** – კოსმოსიდან მძლავრ ენერგიას იღებთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ერიდოთ კოლექტიურ სამუშაოებს. **კურო** – თუ ოჯახში სიმშვიდე და მყუდროება გექნებათ, პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მიაღწევთ. **ტყუპები** – ცხოვრებისეული პრინციპებისა და იდეალების ერთგული დარჩით. ინტიმურ სფეროში სიტუაცია იძაბება. **კირჩხიბი** – პასიური დღეა. მნიშვნელოვან საქმეებს ნუ გააკეთებთ. წვრილმანებით დაკმაყოფილდით. **ლომი** – იმედი გიცრუვდებათ. გრანდიოზულ გეგმებს ნუ დასახავთ. კოლექტიური საქმიანობა უნაყოფო იქნება. **ქალწული** – ძველ მეგობართან კონფლიქტს ერიდეთ. კარგი იქნება, თუ დღეს არ იაქტიურებთ. **სასწორი** – თუ ახალ პირობებს შეეგუებით და უფრო შორსმჭვრეტელი იქნებით, ყველა საქმეს იოლად გაართმევთ თავს. **ღრიანკალი** – ეცადეთ, შინაგანი ძალა მოიკრიბოთ და თვითრწმენა არ დაკარგოთ. დასვენებისთვის დრო უთუოდ გამონახეთ. **მშვილდოსანი** – გარშემომყოფებთან უთანხმოება გაქვთ. დღეს მთავარია, საკუთარ პრინციპებს უერთგულოთ. **თხის რქა** – სექსუალური აქტივობა ქვეითდება. საღამოს სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. **მერწყული** – პროფესიონალურ სფეროში წინდაუხედაობა არ გეპატიებათ. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **თევზები** – ილუზიებისაგან გათავისუფლდით და ცდუნებას ნუ აჰყვებით. არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამაგიეროს გადახდა; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3, პოლიტიკური პარტია საქართველოში; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 6. ბაქტერიების მშთანმთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ძველებური ბასრწვერიანი სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 17. შვედური ავტომობილი; 18. სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი; 20. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. გემთმშენებელი საწარმო; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 8. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 10. ტროპიკული ხილი; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა ან კაოლინი; 17. ბრიტანული არაყი; 19. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ტყვია-თუთიის საბადო სამაჩაბლოში; 23. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 24. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*